# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 23 ოქტომბერი, 2014 წელი.

№216 (7597)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




ვახტანგ მაისაია

③ დეკემბერში დე ფაქტო პარლამენტი ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთის გაერთიანებას მოითხოვს!

## საქართველოს სახელმწიფომ დანაშაული აღიარა ②

ნაციონალების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამო დაზარალებულებს ფულს დღევანდელი მთავრობა უხდის.

**სტრასბურგში გამოტანილი განაჩენი**

## ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმე დასრულდა



⑪

ბაჩო ახალაიას 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

## 26 საუკუნის წინათ დაწყებული მეგობრობა სულ უფრო მყარდება



ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ ქართველ და ებრაელ ხალხს 26-საუკუნოვანი მეგობრობის იუბილეს ულოცავს.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, ნეთანიაჰუს მილოცვა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ისრაელის დელეგაციასთან გამართულ ოფიციალურ ვახშამზე მოისმინა.

„განსაკუთრებული ურთიერთობა ჩვენ ორ ერს შორის ეფუძნება საერთო კულტურულ ფასეულობებს. თქვენი ინიციატივა არის ხორცშესხმა ებრაული დიასპორის წვლილისა ქართველი ერისადმი. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ წლებშიც გავაგრძელებთ თანამშრომლობის გაღრმავებას და ამით შევინარჩუნებთ 26-საუკუნოვანი მეგობრობისა და ძმობის დიდ ტრადიციას“, — აღნიშნულია მილოცვაში.

## ④ ირმა ნადირაშვილი ვერ ადასტურებს, რომ ის ბაქოში არ დაუკავებიათ



## თამაზ გამყრელიძე - 85 ⑤

## დიდი მეცნიერი, რომელიც მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებს



## აშშ უკრაინის ან საქართველოს ომებში მათ ნაცვლად ბრძოლას არ აპირებს



— ამის შესახებ შეერთებული შტატების სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში ევროპის საკითხების ქვეკომიტეტის ხელმძღვანელმა ქრისტოფერ მერფიმ „ამერიკის ხმის“ ალბანურ რედაქციასთან ინტერვიუში განაცხადა.

სენატორის თქმით, საქართველოსა და უკრაინას ნატოს დაცვა არ ექნებათ, სანამ ამ ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად საჭირო ნაბიჯებს არ გადადგამენ, თუმცა აშშ-ს შეუძლია, ამ ქვეყნებთან უფრო ღრმა სამხედრო თანამშრომლობა ჰქონდეს და სწორედ ამ მიზნით იქნა მიღებული „უკრაინის თავისუფლების მხარდაჭერის აქტი“, რომელიც საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას „ნატოს არაწევრ მთავარ მოკავშირეებად“ აღიარებს.

„უკრაინისთვის და საქართველოსთვის ახლა კრიტიკული დროა. საქართველო ძალიან ფრთხილად აკვირდება იმას, რაც უკრაინაში ხდება. ბევრ ჩვენგანს სჯერა, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ნათელი გზავნილის მიწოდება ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა უკრაინა და საქართველო, იმის შესახებ, რომ ხანგრძლივი სამხედრო თანამშრომლობისთვის მზად ვართ, თუნდაც ნატოს ოფიციალური სტრუქტურის ფარგლებს გარეთ. ნატოს საკუთარი პროცესი აქვს, რომლის გავლაც აუცილებელია. იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში, საქართველოს წევრად გახდომის მიღწევა შეუძლია, სულ მცირე, სამოქმედო გეგმის (MAP) მიღება მაინც. აშკარაა, სანამ ნატოს მომავალ წევრობაზე რეალური საუბარი დაიწყება, უკრაინა მიმდინარე კრიზისს უნდა გაუმკლავდეს“, — განაცხადა მერფიმ.

◎ დღის ამოჩახზურიდან

## მანდატური — ყველა ოჯახში!



— თუკი სახელმწიფოს ვადანაშაულებთ ქალებზე ძალადობის აგრერიგად გახშირებაში, სახელმწიფოს ისღა დარჩენია, რომ ოჯახებში სასწრაფოდ შემოიღოს მანდატურის ინსტიტუტი, რადგან ძალადობის დროს გამოძახებული პოლიციელის ჩარევა უმეტესად დაგვიანებული აღმოჩნდება, ოჯახში მუდმივად მყოფი (დღეცა და ღამეც) მანდატური კი უმალვე ჩაერევა და აღკვეთს ძალადობას ნებისმიერი მხრიდან.

მანდატურის ხარჯები, ბუნებრივია, სახელმწიფომ უნდა იკისროს ბიუჯეტში გათვალისწინებით.





## უნივერსალი ქართველი კარატისტი მანდილოსანი ⑩

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**



# ირაკლი ღარიბაშვილი გენერალ ფილიპ ბრიდლავს შეხვდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპაში მოკავშირეთა ძალების უმაღლეს მთავარსარდალს, აშშ-ის საჰაერო ძალების გენერალ ფილიპ ბრიდლავს შეხვდა.**

როგორც „ინტერპრესნიუსს" მთავრობის ადმინისტრაციიდან აცნობეს, საუბრის ერთ-ერთი თემა იყო იმ არსებითი პაკეტის იმპლემენტაცია, რომელიც საქართველომ ნატოს უელსის სამიტზე მიიღო.

პრემიერ-მინისტრმა გენერალთან შეხვედრაზე ხაზი გაუსვა აღნიშნული პაკეტის მნიშვნელობას.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, საქართველო აფასებს ამერიკის ურყევ მხარდაჭერას საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებებისადმი, რისი ერთ-ერთი დასტურიც იყო აშშ-ის თავდაცვის მდივნის ვიზიტი საქართველოში.

შეხვედრაზე ასევე განიხილეს საქართველოს მონაწილეობა ISAF-ის და „გადამწყვეტი მხარდაჭერის მისიაში". გენერალმა ბრიდლავმა საერთაშორისო მისიაში შეტანილი წვლილისთვის საქართველოს პრემიერ-მინისტრს მადლობა გადაუხადა.

# ოჯახური ძალადობის საკითხებზე სპეციალური ჯგუფი იმუშავებს

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში ძალადობის თემაზე უწყებათაშორისი ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართა.**

**ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, ირაკლი ღარიბაშვილმა უწყებათაშორის ჯგუფში შემავალი სტრუქტურების ხელმძღვანელებს სამოქმედო გეგმის შემუშავება და კომპლექსური ღონისძიებების გატარება დაავალა.**

მისი განცხადებით, იუსტიციის სამინისტრო მუშაობს ოჯახში ძალადობის საკითხებზე შექმნილი კომისიის შემადგენლობის შეცვლაზე. ამასთან დაკავშირებით, პრემიერმა იუსტიციის მინისტრს პროცესის დაჩქარებისკენ მოუწოდა.

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო უახლოეს მომავალში საზოგადოებას ძალადობის პრევენციის საერთო ეროვნული სტრატეგიას წარუდგენს. განათლების სამინისტროს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება დაევალა.

ირაკლი ღარიბაშვილმა სახელმწიფო სტრუქტურებს საზოგადოების წარმომადგენლებთან და არასამთავრობო სექტორთან კოორდინირებული მუშაობისკენ მოუწოდა.

„ჩართეთ ყველა სპეციალისტი, საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია, ვინც ოჯახურ ძალადობაზე, ქალთა უფლებებზე და მათ სოციალურ ჩართულობაზე მუშაობს. და რაც მთავარია, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დეტალურად ჩავაყენოთ საქმის კურსში და ჩავრთოთ პროცესში ჩვენი საზოგადოება, — აღნიშნა პრემიერმა.

მისივე განმარტებით, ოჯახური ძალადობის მიზეზებს კომპლექსური გამოკვლევა სჭირდება.

„რაც ხდება, კომპლექსური გამოსაკვლევია. ეს ეწინააღმდეგება ჩვენს კანონებს, ჩვენს ტრადიციებს, ჩვენს რელიგიას. ფაქტია, რომ ძალადობა შობს ძალადობას, აგრესია აგრესიას, წლების განმავლობაში ნანახს და მოსმენილს, ზოგიერთისთვის კი საკუთარ თავზე გადატანილ წამების, მკვლელობის, დევნის, რეპრესიების შემდეგ გასაკვირი არაა, რომ ფსიქოლოგიურ პრობლემებთანაც გვქონდეს საქმე, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა შეხვედრის დაწყების წინ.

უწყებათაშორისი ჯგუფის პირველ შეხვედრას იუსტიციის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, ეკონომიკის მინისტრი, განათლების მინისტრი, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ესწრებოდნენ.

# საჯარო სკოლების დირექტორების ნაწილი მიმართვასავრცელებს

**საჯარო სკოლების დირექტორების ნაწილი, დირექტორთა არჩევნების წესთან და შედეგებთან დაკავშირებულ უარყოფით შეფასებებს არ იზიარებს. ამასთან დაკავშირებით, საჯარო სკოლების 25-მდე დირექტორმა პრესკონფერენცია გამართა. მათი თქმით, ძალიან ცუდია, როდესაც გავრცელდა საზოგადოებრივი აზრი იმის თაობაზე, რომ ყველა მოქმედი დირექტორი ნეპოტიზმის ან სუბიექტური მიდგომის საფუძველზე დაინიშნა.**

დირექტორების მოსაზრებით, გამოთქმული შეფასებები შეურაცხყოფს და ღირსებას ულახავს როგორც სკოლის უკვე შერჩეულ დირექტორებს, ასევე ამ პროცესში ჩართულ კეთილსინდისიერ ადამიანებს.

„უკვე რამდენჯერმე ითქვა, რომ სკოლის დირექტორად კანდიდატები შეირჩნენ არა მათი კომპეტენციის, ან გამოცდილების მიხედვით, არამედ განათლების მინისტრთან ან სამინისტროს მაღალჩინოსნებთან ახლობლობის ნიშნით. ვფიქრობთ, პროფესიული ნიშნით შერჩეული დირექტორების სახელის დაკავშირება ნეპოტიზმთან, ჩრდილს აყენებს სისტემაში დასაქმებულ არაერთ პატიოსან ადამიანსა და პროფესიონალს, მშობლებისა და მასწავლებლების თვალში", — აღნიშნა რუსთავის მე-4 საჯარო სკოლის დირექტორმა მამუკა ხამხაძემ, რომელმაც დირექტორების საზოგადოებისადმი მიმართვა წაიკითხა. მისი თქმით, აღნიშნულ მიმართვას კიდევ ბევრი არჩეული და დანიშნული დირექტორი უერთდება.

# საქართველო 2015 წელს ავღანეთში უსაფრთხოების მისიას გააგრძელებს

**— ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ნატოს მოკავშირეთა გაერთიანებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალთან და ამერიკის ევროპული სარდლობის მეთაურთან გენერალ ფილიპ ბრიდლავთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

როგორც თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე ნატო-საქართველოს თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

თავდაცვის მინისტრის თქმით, შეხვედრაზე განიხილეს რეგიონში არსებული უსაფრთხოების მდგომარეობა. საუბარი ასევე შეეხო საქართველოს საერთაშორისო მისიებში მონაწილეობას და თანამშრომლობის სამომავლო გეგმებს.

„განვიხილეთ რეგიონალური საფრთხეები, რომელიც წარმოიქმნა მას შემდეგ, რაც დაიწყო უკრაინაში აგრესიული ბრძოლები რუსეთის ფედერაციამ, გავაკეთეთ ანალიზი, რა პროცესები მიმდინარეობს ერაყსა და სირიაში. ვისაუბრეთ იმაზე, თუ როგორ გააგრძელებს ნატო და საქართველო ერთობლივი ძალისხმევით ამ საფრთხეებთან გამკლავებას. ასევე ვისაუბრეთ იმაზე, რომ საქართველო აგრძელებს 2015 წელს ნატოსთან ერთად ავღანეთში უსაფრთხოების მისიას, საქართველო იქნება ერთ-ერთი ყველაზე დიდი კონტინგენტით წარმოდგენილი, რისთვისაც ჩვენი ნატოელი პარტნიორები ჩვენი ქვეყნის მადლიერი არიან", — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

# საქართველოსა და რუსეთის პირველი პირების შეხვედრის საკითხი მხოლოდ იდეის დონეზე არსებობს



**რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის თქმით, ასეთი შეხვედრის მზადება არ მიმდინარეობს და მზადებას არც ადრე ყოფილა.**

„აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საუბარი დაიწყო მას შემდეგ, რაც ვლადიმერ პუტინს ჟურნალისტებმა ჰკითხეს, შეხვდებოდა თუ არა საქართველოს პრეზიდენტს, რაზეც მან თქვა - რატომაც არა. შემდეგ საქართველოშიც ითქვა — რატომაც არა. გრიგორი კარასინთან შეხვედრისას ჩვენ ვთქვით, რომ ადრე თუ გვიან, ასეთი შეხვედრა უნდა ჩატარდეს, მაგრამ ფონი უნდა იყოს შესაბამისი. შეხვედრას სერიოზული მომზადება სჭირდება, რათა ის იყოს შედეგიანი. კარგი დაფიქრებაა საჭირო, თუ სად, როდის და რაზე საუბრისთვის გაიმართება საქართველოსა და რუსეთის პირველი პირების შეხვედრა, — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ პარლამენტში ოთხი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე გამოსვლისას.

**◎ აღდგენილი უფლებები**

# საქართველოს სახელმწიფომ დანაშაული აღიარა

## სტრასბურგში გამოტანილი განაჩენი

**ნაციონალების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამო დაზარალებულებს ფულს დღევანდელი მთავრობა უხდის. საინტერესო ფაქტია, მაგრამ ასეა! თუ რას ვგულისხმობთ, კონკრეტულად, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ:**

ადამიანის უფლებათა ცენტრმა ინფორმაცია გაავრცელა, სადაც ნათქვამია: „ადამიანის უფლებათა ცენტრი საქართველოს მოქალაქეთა სახელით აწარმოებდა საქმეებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. საჩივრები ეხებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევებს, რაც სახელმწიფოს მხრიდან მსჯავრდებულთა არასათანადო მკურნალობის განხორციელებაში გამოიხატებოდა".

მსჯავრდებულები ქობულაძე, ჯაფარიძე და მარაკველიძე სტრასბურგში იმის გამო ჩიოდნენ, რომ პატიმრობის დროს მათ სათანადო მკურნალობა არ უტარდებოდათ. ეს ეხებოდა წინა მთავრობის მმართველობის პერიოდს, როდესაც, ყველამ კარგად ვიცით, როგორ და რა ფორმით ხდებოდა ადამიანის უფლებების შელახვა-ხელყოფა.

**ამ ამბავმა ერთი ჩემი რესპონდენტის მონათხრობი გამახსენა. გერმანიის „ქართული სახლის" ხელმძღვანელი თამარ შალამბერიძე იხსენებდა ყოფილი პატიმრის, 30 წლის ბიჭის თავს გადახდენილ ტრაგედიას. ბერლინში არალეგალურად ჩასული ახალგაზრდა ერთ კვირაში ტუბერკულოზის დიაგნოზით გარდაიცვალა. მას თურმე ქართულ ციხეში მხოლოდ „პარაცეტამოლით" უგდებდნენ მაღალ სიცხეს. გამოკვლევების შემდეგ გერმანელი ექიმები გაოცებულები დარჩნენ — ბიჭს ერთობ უცნაური და გაუგებარი ტუბერკულოზის ჩხირი აღმოაჩნდა. ამ ჩხირის გამოკვლევა დღესაც გრძელდება. სამწუხაროდ, ახალგაზრდა გარდაიცვალა. მიზეზი იყო ექიმების მხრიდან უყურადღებობა და დაუდევრობა მისი პატიმრობის პერიოდში. დიახ, ეს ხდებოდა ბაჩო ახალაიას, დიმიტრი შაშკინის და ხათუნა კალმახელიძის მართულ ციხეში.**



ამჯერად, ევროსასამართლოს წინაშე საქართველოს სახელმწიფომ დანაშაული აღიარა. ახლანდელმა ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ ზემოაღნიშნულ მსჯავრდებულთა მიმართ ადგილი ჰქონდა სამედიცინო მკურნალობის ხელმისაწვდომობის ხელყოფას. მართალია, ეს წინა ხელისუფლების დროს ჩადენილი დანაშაულია, მაგრამ პასუხს აგებს „ქართული ოცნება".

ადამიანის უფლებათა ცენტრის ინფორმაციით: — მომჩივან ქობულაძესა და სახელმწიფოს შორის გაფორმდა მეგობრული მოგვარების დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც საქართველოს სახელმწიფომ განმცხადებელს გადაუხადა კომპენსაცია — 1000 ევროს ეკვივალენტი ლარში.

ჯაფარიძის საქმეზე — სახელმწიფომ აღიარა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რაც გამოიხატა მსჯავრდებულის არასათანადო მკურნალობაში. სახელმწიფომ მომჩივანს 4500 ევრო გადაუხადა.

მარაკველიძის საქმეზეც, კონვენციის ამავე მუხლის დარღვევის გამო სახელმწიფომ მომჩივანს 4500 ევრო გადაუხადა.

**ასე გზადაგზა, ნაწილ-ნაწილ სტრასბურგის სასამართლო აწესრიგებს ყველა იმ ჩადენილ დანაშაულს, რაც სააკაშვილის რეჟიმმა განახორციელა, თუმცა, ზოგიერთ თვალსლიბრგადაფარებულ ევროპელს დღემდე არ უნდა იმის დაჯერება, რასაც ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი 9-წლიან ჯოჯოხეთს უწოდებს და ვერ ივიწყებს!!!**

**ნია ფიფია**

„ჩვენ გადავცემთ ჩვენს დედაქალაქებს საქართველოს შეშფოთებას რუსეთსა და აფხაზეთის რეგიონს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების თაობაზე, ამას გააკეთებს ყველა დიპლომატი, ვინც შეხვედრას ესწრებოდა“, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართული შეხვედრის შემდეგ, რომელზეც საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა და პრემიერის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძემ დიპლომატიურ კორპუსს გააცნეს ინფორმაცია „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ რუსეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების“ შესახებ.



ცნობილია, რომ რუსეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“ ხელშეკრულების პროექტი იყო ლუქსემბურგში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალურ შეხვედრებზე, განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა.

რამდენად ეფექტური შეიძლება აღმოჩნდეს აღნიშნული ღონისძიებები და რა შედეგს შეიძლება ველოდეთ, ამ თემაზე ექსპერტი **ვახტანგ მაისაია** გვესაუბრება.

# თუ ევროატლანტიკურ კურსზე უარს ვიტყვით, შესაძლოა, სახელმწიფოებრიობაც კი დავკარგოთ!

## დეკემბერში დე ფაქტო პარლამენტი ჩრდილო და სამხრეთი ოსეთის გაერთიანებას მოითხოვს!




— ის განცხადებები, რაც საერთაშორისი საზოგადოების მხრიდან კეთდება, მიგვანიშნებს იმაზე, თუ როგორი იქნება დასავლეთის რეაქცია. ეს მნიშვნელოვანია, რადგან საერთაშორისო საზოგადოებაც ხვდება, რომ იწყება ყირიმიზაციის პროცესი, საქართველოსთან მიმართებაში.

რამდენად ქმედითი იქნება დასავლეთის რეაქცია, ამაზე ძნელია საუბარი. ვნახეთ, რომ უკრაინაში როდესაც ყირიმიზაციის პროცესი დაიწყო, დასავლეთის რეაქცია იყო ეკონომიკური სანქციების გამოცხადება.

თუ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა (ამას იმიტომ ვამბობ, რომ აფხაზური საზოგადოების გამოფხიზლება დაიწყო და ისევ მათი კეთილგონიერების იმედად ვრჩებით), მაშინ, შესაძლოა, დასავლეთი რუსეთთან ურთიერთობის მეორე ეტაპზე გადავიდეს. ეს იქნება არა სანქციები, არამედ უკვე ეკონომიკური ბლოკადა — სხვა რა წინააღმდეგობა შეიძლება გაეწიოს ამას, არ ვიცი. ომი და სამხედრო დაპირისპირება რამდენად შეიძლება აწარმოოს რუსეთის მიმართ, ეს კიდევ ცალკე სუბრის თემაა. ვფიქრობ, შემდეგი ეტაპი შეიძლება იყოს ეკონომიკური ბლოკადა და საქართველო და უკრაინა უკვე მოხვდება ერთ კონტექსტში, რომელთა მიმართაც სინქრონულად ხორციელდება საერთაშორისო სამართლის უპრეცედენტო დარღვევები.

**— საქართველოს რა ბერკეტები გააჩნია ამ შემთხვევაში?**

— მეტი რა უნდა გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ, არ ვიცი. ომის შემდეგ ჩვენ გავწყვიტეთ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა, დსთ-ს შემადგენლობიდან გამოვედით. ფაქტობრივად, რუსეთთან ვართ საომარ მდგომარეობაში — გვაქვს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება, რომელსაც 2008 წლის 12 აგვისტოს მოეწერა ხელი.

ჟენევისა და კარასინი-აბაშიძის ფორმატები სურათს დიდად არ ცვლის, რადგან ეს ნიშნავს, რომ აფხაზებთანაც და ოსებთანაც დავკარგეთ პირდაპირი კონტაქტის საშუალება.

კარასინი-აბაშიძის ფორმატსაც აზრსმოკლებულად ვთვლი — როდესაც უკრაინას წაართვეს ყირიმი, ამის მიუხედავად მილანში მაინც შედგა პუტინისა და პოროშენკოს შეხვედრა, თუმცა, ეს მოხდა საერთაშორისო ლიდერების თანდასწრებით. ვფიქრობ, ასეთი ფორმატი უფრო მეტად ეფექტური იქნებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ უფრო რეალურად ვიგრძნოთ მათი დახმარება თუნდაც მოლაპარაკებების პერიოდში.

სხვა ჩვენ არაფერი შეგვიძლია, ომითა და მახვილით ვერ დავიბუნებთ ვერც აფხაზეთს და ვერც ოსეთს. საქართველომ უკვე გაუშვა თავისი დრო. ბოლო ვარიანტი, რისი გამოყენებაც შეიძლებოდა, ეს იყო პერიოდი, როდესაც აფხაზეთს ჰყავდა ნაციონალისტური ხელისუფლება ბაღაფშისა და ანქვაბის სახით. მაშინ რომ მოგვეხერხებინა და უშუალოდ გავსულიყავით ამ ლიდერებზე, რამენაირად დიალოგი დაგვეწყო, შიძლება გამოგვენახა ის საერთო წერტილები, რომელიც ორივე მხარეს ალბათ, აწყობდა.

დღეს ასეთი დიალოგის წარმოება, თითქმის შეუძლებელია - რუსეთმა მთლიანად გაწმინდა აფხაზური ოპოზიცია, ფაქტობრივად, აფხაზური ოპოზიცია ნიველირებულია, არ მგონია, ხაჯიმბა საქართველოს რომელიმე ხელისუფლებას დაუჯდეს მოსალაპარაკებლად - ის პირდაპირ იმართება მოსკოვიდან. ამ სიტუაციის გათვალისწინებით, ისევ საერთაშორისო საზოგადოების იმედად ვრჩებით.

საქართველო ასევე შეიძლება გააქტიურდეს რეგიონალური მასშტაბით, დაიწყოს მაგალითად, ერთიანი კავკასიური პოლიტიკის შემუშავება. ეს პოლიტიკა რომ გვქონოდა შემუშავებული, შესაძლოა, ბევრი რამ სხვანაირად წარმართულიყო.

**— ბოლო პერიოდში რა განცხადებებიც ისმის ევროპელი ლიდერებისა და საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, ეს არის ევროინტეგრაციის პროცესის დაჩქარება. ეს სტრატეგია წაადგება თუ არა მოცემულ მომენტში საქართველოს პოზიციას?**

— სხვა გზა არ დაგვრჩენია. ეს არის იმ პოლიტიკის საპირწონე, რომელსაც რუსეთი ახორციელებს საქართველოს წინააღმდეგ. ჰიპოთეტურად, დღეს საქართველომ ევრაზიულ კავშირში შესვლაზეც რომ განაცხადოს თანხმობა, არ მგონია რუსეთმა თავისი პოლიტიკა შეცვალოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართ. ეს იმის გამო, რომ რუსეთი ჩვენ აღარ გვენდობა.

რაც შეეხება რეალობას, ასეთი პოლიტიკა ჩვენ არც გვჭირდება, რადგან საქართველოს ევროატლანტიკური კურსი არის საკმაოდ მყარი და პერსპექტიული და თუ ამაზე უარს ვიტყვით, შესაძლოა, სახელმწიფოებრიობაც კი დავკარგოთ.

**— იმ ინფორმაციის გათვალისწინებით, რაც ამ ეტაპზე არსებობს, შეიძლება პროგნოზის გაკეთება, რა იქნება შემდეგი ნაბიჯი?**

— ჩემი ინფორმაციით, მეორე ეტაპისთვისაც უნდა მოვემზადოთ, რადგან როგორც ვიცი, მსგავსი დარტყმა სამხრეთ ოსეთის მიმართულებითაც მზადდება. სავარაუდოდ, მიმდინარე წლის დეკემბერში ცხინვალის მარიონეტული მთავრობა დაიწყებს ახალი კანონპროექტის მომზადებას, რომელიც ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის შეერთებას ითვალისწინებს. შესაბამისად, იქ უკვე დაბრუნდება კოკოითის ხელისუფლების წარმომადგენელი. ანუ, იქაც მოხდება თიბილოვის შეცვლა კოკოითით. ეს უკვე ნიშნავს, რომ მოხდება კრემლის უშუალო მარიონეტის დასმა. ანუ, საქართველოს მიმართ მცოცავი ანექსიის პროცესი გრძელდება და სადამდე მივა ეს ყველაფერი, რთულია პროგნოზირება.

ყურადღებით უნდა ვიყოთ ცხინვალის მიმართულებითაც, რადგან ეგებ, შევძლოთ პრევენცული ღონისძიებების გატარება. დეკემბრამდე ყველანაირი შანსი უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ როგორმე უშუალო კავშირზე გავიდეთ აფხაზეთისა და ცხინვალის წარმომადგენლებთან. თუნდაც პირადად, თუნდაც შუამავლების მეშვეობით დავარწმუნოთ, რომ საფრთხე მათ ეთნიკურ თვითმყოფადობასაც ემუქრება.

**— ურთიერთობის ასეთი ფორმატი შესაძლებელი რომ იყოს, საქართველოს ხელისუფლება აქამდე არ მიმართავდა ამ გზას?**

— საქართველოს არც ერთი ხელისუფლება ამ პოტენციალს ბოლომდე არასოდეს იყენებდა. შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდში იყო ამ მიმართულებით გადადგმული გარკვეული ნაბიჯები და შემდეგ დამთავრდა. ყველა ხელისუფლება ამ საკითხს კონფრონტაციულად უდგებოდა. საუბარი არ არის დღევანდელ ხელისუფლებაზე, რომელმაც ასეთი მემკვიდრეობა მიიღო.

კიდევ ერთხელ მინდა, აღვნიშნო, თუ ღარიბაშვილი უკვე არ დაიწყებს კავკასიური პოლიტიკის ელემენტების შემოტანას ქართულ პოლიტიკაში, შორს ვერ წავალთ. ვგულისხმობ, თუნდაც რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ სუბიექტებთან ასიმეტრიული ურთიერთობის დამყარებას, კულტურული იქნება ეს თუ ჰუმანიტარული და ა.შ. რაც შეეხება პოლიტიკას, გარკვეულ ფორმატში მათი გამოყენება შეიძლება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებთან ურთიერთობისთვისაც. ამავე ფორმატში ურთიერთობისთვის შეიძლება მოიაზრებოდნენ ასევე ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეები თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი. შეიძლება, რომ რაღაც ახალი მოდელი შევთავაზოთ რეგიონის აქტიორებს მშვიდობისა და თავისუფლების დამყარების მიზნით. როგორიც იყო თავის დროზე, დავუშვათ, „ჩრდილოეთ კავკასიის ინიციატივა“, იგივე ზვიად გამსახურდიას „ერთიანი კავკასიური სახლის“ იდეა. მსგავსი კონცეფცია არსებობს დღესაც და ყოფილ ხელისუფლებას ამის გამო პოლიტპატიმარიც ჰყავდა — ვგულისხმობ „კავკასიურ გეოსტრადას“. თუ დღევანდელი ხელისუფლება ამ მიმართულებით დაინტერესდება, ნამდვილად არ წააგებს.

**— თუ გავითვალისწინებთ, რომ რეგიონში მსოფლიოს უდიდეს მოთამაშეებს შორის ხდება გავლენათა გადანაწილება, ერთიანი კავკასიური კონცეფციის შემუშავება ამ პროცესს შეეწინააღმდეგება?**

— ჩვენ უნდა ვიყოთ ის ნავები, რომელიც დააკავშირებს ორ დიდ საოკეანო სივრცეს — სწორედ ამაშია ამ იდეის არსი. თუ ვიაქტიურებთ, შეიძლება, მოვახერხოთ, რომ დიდი სახელმწიფოებიც კი გამოვიყენოთ ჩვენს სასარგებლოდ.

ესაუბრა
**მარიამ თოდაძე**

## კაკალ გულში

● ბაზარი არაა, უცხოელი ლობისტები აუცილებელია, მაგრამ აქ რომ უკანალი აქთ მოშიშვლებული და გარეთ „ბაბოჩკას“ იკეთებენ, მაგარი სისულელეა. ბოკერია და მიშა საზღვარგარეთ თავიანთ ლობისტებს და ჟურნალისტებს ფულს თუ უხდიდნენ, აქ რუსთავი-2, იმედი, საზმაუ თავიანთი ელიტჟურნალისტებით, ცირკის პუტანკებივით ჰყავდათ გაგდებული. ციკლიდან „ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო“.

● იმ ამბავში, რომ უსუფაშვილის სტატიის დაბეჭდვაში 75 000 ევრო არ უნდა გადაიხადო, ყველას ვეთანხმები, — თვით ნაცმოძრაობასაც კი!

რა მაგის პასუხია და 75 000 ევროდ ერთ სტატიას კი არა, მთელი თვე 24-გვერდიან გაზეთს გამოვუშვებ და ოცდაოთხივე გვერდზე დამფინანსებლის სურათებს დავბეჭდავ სხვადასხვა რაკურსში (ცხადია საქებარ–სადიდებელი ტექსტებით).

● სასმელს არ ვსვამ, წამალს არ ვიკეთებ, პლანს არ ვეწევი, რითი უნდა განვიტვირთო? 7 საათზე მივალ ნაცების ოფისთან, თავისუფალი თაობის აქციაზე, ვაგინებ მეგაფონით ნაგვებს, საკაიფოდ გავერთობი!

### წიკწიკოიანი ფიქრები

● სახელმწიფოს, რომლის არსებობას დიდ წილად, ემიგრაციაში წასული არაადამიანურად მშრომელი დედები განაპირობებენ, სახელმწიფო არ ქვია!

● ეს „გააცინე ნიკა არაბიძე და მოიგე ნიკა გვარამიას გული“, რამე მარადიული ღირებულებაა? რამდენიც გადავრთე „რუსთავი-2“-ზე, იმდენჯერ ეს გადაცემა რომ შემრჩა ხელში.

● გენდერული ბალანსის აღდგენის მიზნით, უჩა ნანუაშვილმა გადაწყვიტა, შეასწოროს „ოტელოს“ დასკვნითი ეპიზოდი და უკვე დეზდემონა დაახრჩობს მეუღლეს!

● წინსვლა გვაქვსო ეკონომიკაში..სააგარაკე მიწა არ იყიდება, კომერციული ფართი არ იყიდება, მანქანა არ იყიდება, სახლი არ იყიდება (კომერციულ ფასებზე მაქვს საუბარი და არა ბანკების მიერ ყადაღადადებულ წართმეულ ქონებაზე). გუშინ კარგი პროექტის „მცირე ბიზნესის მხარდამჭერის პროგრამის “პრეზენტაციის მოსასმენად მოვემზადე თავიდან მესიამოვნა, მომზადება-გადამზადება, ბიზნესგეგმის შედგენაში დახმარება, კოპერირების ხელშეწყობა. ვიფიქრე, აგაშენათ ღმერთმა, რაღაც გაგიგიათ მოგისმენიათ და მგონი არც ბანკებს ჩაუგდებთ ხელში ამ საწყალ ხალხს-მეთქი,მაგრამ მივიდნენ თანხებზე თუ რამდენი იქნებოდა გაცემული კრედიტის მაქსიმუმი და საერთო რაოდენობა. საერთო რაოდენობა 20 მილიონი, ხოლო ერთ კოოპერატორზე არა უმეტეს 5000 ლარისო. კოოპერატორების გაერთიანების შემთხვევაში მაქსიმუმ შეიძლება მიიღონ 15 000ლარი.აქ დამსიცხა! თქვე უსინდისოებო, 5000 ლარი 1 თვის ხელფასად არ გყოფნით და წვრილ მეწარმეს რა ბიზნესის შექმნასა და გადარჩენაში უნდა წაადგეს? არ არსებობს რამე არ გააფუჭონ. არ შეუძლიათ სხვანაირად!

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძე**

◉ იძებნება ფულის გამღები

# ვინ გადაიხადა დავით უსუფაშვილის სტატიის გამოქვეყნებაში 75 ათასი ევრო?

**International New York Times-ში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სტატიის გამოქვეყნება 75 000 ევრო დაჯდა, თუმცა, თუ ვინ გადაიხიდა და საიდან აღნიშნული თანხა, უცნობი რჩება. დავით უსუფაშვილი ირწმუნება, რომ სტატიის გამოქვეყნებაში არც მას და არც საქართველოს ბიუჯეტს კაპიკი არ გადაუხდია, „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო“ კი გამოცემიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ამტკიცებს, რომ სტატიის სათაურით – „სააკაშვილს საკუთარი წარსული დევნის და არა – პუტინთან „შეკრული“ ივანიშვილი“ გავრცელება სოლიდური თანხა დაჯდა.**

არასამთავრობო ორგანიზაციის ინფორმაციით, დავით უსუფაშვილის სტატია გამოცემა agenda8ge-მ International New York Times-ის პარიზის ოფისს დაუკვეთა სექციაში – მსოფლიო ამბები, სადაც სრულ გვერდზე რეკლამის განთავსების ღირებულება დაახლოებით 75 000 ევროს შეადგენს.

მათი ცნობით, გაზეთის წარმომადგენელი ადასტურებს, რომ უსუფაშვილის წერილი სრულ გვერდზე გამოქვეყნდა.

**„გამოქვეყნებული მასალა რეკლამას წარმოადგენდა. ვინაიდან, ეს სტატია მთავრობასთან პირდაპირ დაკავშირებულმა ვებგვერდმა - agenda.ge-მ შეუკვეთა, ლეგიტიმური შეკითხვები ჩნდება, არამიზნობრივად ხომ არ გამოიყენეს ადმინისტრაციული რესურსები. მნიშვნელოვანია, საზოგადოება ინფორმირებული იყოს, თუ ვინ გადაიხადა 75 000 ევრომდე agenda.ge-ს დაკვეთით გამოქვეყნებულ რეკლამაში – სახელმწიფომ, პოლიტიკურმა პარტიამ, კერძო ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმა“,** – აცხადებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, რომელმაც შესაბამისი კითხვებით საქართველოს მთავრობას უკვე მიმართა.

სანამ არასამთავრობო ორგანიზაცია პასუხს მთავრობიდან ელოდებოდა, მას პარლამენტის თავმჯდომარე გამოეხმაურა, მან სტატიის გამოქვეყნების გამო კმაყოფილება გამოთქვა და ინფორმაცია უარყო, რომ ამ საქმეში ფული არის გადახდილი.

უსუფაშვილის მტკიცებით, მან არ იცის, International New York Times-ში თუ როგორ დაიბეჭდა ეს სტატია, მაგრამ მას დარწმუნებით იმის თქმა შეუძლია, რომ ამ საქმეში არც მას და არც საქართველოს ბიუჯეტს კაპიკი არ გადაუხდია.

**„სტატია დავწერე, რომლის გამოქვეყნებაც მსურდა. რამდენიმე ევროპულმა გაზეთმა სტატიის ერთი მეოთხედის დაბეჭდვა შემომთავაზა, მაგრამ სტატიის ინგლისური ვერსია agenda.ge-ს გადავეცი, რომელსაც საერთაშორისო პრესასთან აქვს ურთიერთობა. სტატია დაიბეჭდა და მოხარული ვარ, მაგრამ როგორ დაიბეჭდა და ვინ დაბეჭდა, ეს არ ვიცი. არც მე და არც საქართველოს ბიუჯეტს ამ საქმეში კაპიკი არ გადაგვიხდია. არც კი ვიცი, საერთოდ რაიმე გადახდილი არის თუ არა. ამჟამად, ჩემი სტატიები მინიმუმ ექვსშვიდ საერთაშორისო გამოცემაში დაიბეჭდა“,** – განაცხადა უსუფაშვილმა.

ერთი მხრივ, სპიკერმა ბრალდებები უარყო, მეორე მხრივ კი ის მიზეზები განმარტა, რის გამოც სტატიის გამოქვეყნება განიზრახა.

უსუფაშვილის თქმით, მაშინ, როდესაც რუსეთთან მიმართებაში მდგომარეობა განსაკუთრებით რთულდება და არის სერიოზული ხიფათი, ამ დროს, საკუთარ კაბინეტში მშვიდად ვერ იჯდება.

**„რაც ამ სტატიაში წერია, სრული სიმართლეა. მშვიდად ვერ ვუყურებ იმას, თუ როგორ ავრცელებენ ცალკეული პოლიტიკოსები დეზინფორმაციას, თითქოს, რუსეთს უკვე ანექსირებული აქვს საქართველო იმიტომ, რომ საქართველოს ხელისუფლებაში პუტინის და რუსეთის მარიონეტები სხედან. ეს არის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ყველაზე უფრო არასერიოზული ქმედება, რაც შეიძლება პოლიტიკოსმა ჩაიდინოს. ბევრი ყოფილი თანამდებობის პირი წარსულში ჩადენილი ქმედებების გასამართლებლად მითის გავრცელებას აგრძელებს, თითქოს, „ქართული ოცნება“ რუსეთის მიერ არის მართული. დიახ, გადავწყვიტე, რომ საერთაშორიო თანამეგობრობისთვის ფაქტები მიმეწოდებინა. ამან შედეგი გამოიღო. ბევრი ადამიანი ამას ჩაუფიქრდა და ეს ქვეყნისთვის ძალიან კარგი მოვლენაა“,** – განაცხადა უსუფაშვილმა, რომელსაც უმცირესობა აკრიტიკებს.

for.ge-სთან საუბარში ვიცე-სპიკერი გიორგი ბარამიძე აცხადებს, რომ სამარცხვინო ფაქტია, როდესაც საქართველოს მთავრობა პარლამენტის თავმჯდომარეს ავალებს, რომ ასეთი სტატია დაიწეროს. დეპუტატის თქმით, ხელისუფლების წარმომადგენლები ერთმანეთს კი არ უნდა ელაქუცონ, „ბელადი“ აქონ და ოპოზიცია ლანძღონ, არამედ საქართველოს ინტერესები უნდა დაიცვან და ფული ოკუპაციის და ანექსიის წინააღმდეგ უნდა ხარჯონ.

როგორც for.ge-ს ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ვიქტორ დოლიძემ განუცხადა, ოპონენტები ტყუილის ტირაჟირებით არიან დაკავებულები. კანონმდებელის განცხადებით, პოლიტიკაში პიარი მიღებულია, მაგრამ საქართველო დალხენილი ქვეყანა არ არის, რომ სხვადასხვა ღონისძიებაში ამხელა ფული იხადოს.

**„ოპონენტებმა თავის გადახდილებს მიხედონ. მათ სჯობს, უშიშროების საბჭოდან დახარჯული თანხების მიზნობრიობა შეისწავლონ. ჩვენი თანამემამულეები გულისწყრომასაც კი გამოხატავენ, რომ პიარი არ გივარგათო, მაგრამ ფულს რაც უფრო ნაკლებს გადაიხდი და ბიუჯეტში რაც მეტ თანხას მიმართავ, მით უკეთესია. დალხენილი ქვეყანა არ ვართ, რომ ამხელა თანხები ვიხადოთ“,** - აცხადებს დეპუტატი.

დოლიძეს უსუფაშვილის სტატია არ უნახავს, მაგრამ ამბობს, რომ სტატიები სამხედრო თემების და ასევე ოკუპაციის გასაპროტესტებლადაც უნდა დაიწეროს.

შეგახსენებთ, რომ International New York Times-ში დავით უსუფაშვილის სტატია 16 ოქტომბერს გამოქვეყნდა, სადაც მან აღნიშნა, რომ „მისთვის შეურაცხმყოფელია იმის მოსმენა, რომ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი სხვა ქვეყანას ემსახურება და ღალატობს სამშობლოს“. ამას გარდა, სტატიაში გამოთქმული იყო პარლამენტის თავმჯდომარის მოსაზრებები ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით.

**თეონა მანაგაძე**



Saakashvili Prosecuted by His Own Past
And Not Putin's "Accomplice" Ivanishvili

raised by Georgia's friends and partners
former President Mikheil Saakashvili's
terate that our friends are not neglectful of
lopments in my country. I take their posi-
ort for Georgia and a desire to see my
erge as a developed and effective demo-

d the reaction of former President
political friends. It is hard to see your
ical ally ruined and charged with a crime.
understand well what triggers their
ey fear that signs of political persecution
n may emerge in a country with weak
stitutions that has little experience as a
can relate to these fears, given that for
ve been recipients of misinformation from
t how democracy was thriving in our
now they find it hard to believe that the
ent has no intention of straying from its
cracy.
e new Government of Georgia should not
uestions unanswered, however unfair or
ed they may be. Some of the issues and
have arisen are difficult to fully clarify and
ntinuous and effective monitoring of indi-
ses is not an easy task, nor is it easy to
all the facts.
in light of a lack of democratic traditions
ness of the country's democratic institu-
nay find it hard to believe that Georgia's
rship does not interfere with the work of
ement authorities and the judiciary. In this
nts may not settle for the government's
binting to among others numerous reports
al evidence of freedom of the media and
political pressure, judiciary reform, presi-
cal elections in line with European stan-
ow the court has by no means always
he prosecution's opinion on controversial
cases) and opt for long-term observation

David Usupashvili
Chairman, Parliament of Georgia

then, not many Georgians knew his name, and few outside his family knew him personally.
Bidzina Ivanishvili has to date spent over three billion USD on charity in Georgia, delivering already on this stated commitment to use at least 90 percent of his wealth for the building of the Georgian state. Ivanishvili's dedication to Georgia and to the future of our country cannot be doubted.
What does Russia mean to Bidzina Ivanishvili? Russia is a place where he worked on his academic paper, where he became a businessman, made most of his fortune. Ivanishvili left Russia after the end of President Yeltsin's rule and never returned there over the last twelve years. He is remembered by Russian business circles of that time as an extraordinary character who would not put up with any dishonesty or unlawfulness. As for being "the main Gazprom shareholder", the truth is that Ivanishvili bid farewell to his last Gazprom stock seven years ago, coincidentally, when he severed business ties with President Saakashvili also. His other assets in Russia were

respectively, as well as crimes confirmed in
speak for themselves.
One year before the 2012 parliamentary election, h
ver, President Saakashvili had different plans altog
My party was one of those in opposition at that tim
was practically brought to its knees. What seemed
alive was a pseudo-opposition: parties used by Sa
shvili to create an illusion of democracy and throw
into the eyes of Georgia's friends abroad. Than
constitutional amendments made in advance, Saak
vili was moving toward complete Putinism in leap
bounds, from the office of president to the office
newly-omnipotent prime minister.
In my opinion, Ivanishvili's emergence in the po
arena and the collapse of President Saakashvili's
were the last thing President Putin wanted. The
gian Government straying from the path to demo
and losing true popular support; its leader discre
and denied access to the leaders of the demo
world – this was the true Russian dream, which
have come true had it not been for Ivanishvili's
pected political emergence.
It was in the middle of this hopelessness in late
that Bidzina Ivanishvili emerged to bring about a
cal explosion. I became close with Ivanishvili imm
tely after his entry into politics, and I saw the risk
accompanied his decision. At the age of fift
without any experience in giving a newspaper inte
or a public speech, he engaged in live tele
debates. He rapidly became a target for the autho
his personal guards were disarmed; he was ref
authorization to use his private helicopter; the liv
his family members were threatened. (Not to me
his revoked citizenship, laws adopted with the
purpose of bankrupting his bank, and hundre
millions in fines.)
Equally heavy was the political pressure. This one
election race was characterized by unprecede
tension. On several occasions, there was a tempt
to force a political culmination and end the ele

◉ სკანდალის კვალდაკვალ

# ირმა ნადირაშვილი ვერ ადასტურებს, რომ ის ბაქოში არ დაუკავებიათ

**სკანდალი, რომელიც ზაფხულში აგორდა, ჯერაც არ ჩამცხრალა. კვლავ უამრავი კითხვის ნიშანია, იმასთან დაკავშირებით, მართლა დააკავეს თუ არა აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ქართველი დეპუტატები ირმა ნადირაშვილი და ზურაბ ჯაფარიძე, რომელთაც, გავრცელებული ინფორმაციით, დიდი ოდენობით თანხა გადმოჰქონდათ.**

საგარეო საქმეთა სამინისტრო არც უარყოფს და არც ადასტურებს ამ ინფორმაციას, მაგრამ, კარგად გვახსოვს, აზერბაიჯანში საქართველოს ელჩის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელმაც დეპუტატების დაკავების ფაქტი აღიარა. ჩაერია თუ არა ამ საქმეში აზერბაიჯანის ხელისუფლება, თუ თავად საქართველოს მთავრობამ აარიდა თავი ორ ქვეყანას შორის შესაძლო დაძაბულობას? – ეს კითხვები კვლავ საინტერესოა, თუმცა, როდის და ვინ იტყვის სიმართლეს, – გაურკვეველია.

რაც შეეხება „დაკავებულ დეპუტატებს“, მათ ეს ფაქტი იმთავითვე სიცრუის ტირაჟირებად მონათლეს და სააგენტო „ინტერპრესნიუსი“ ყალბი ინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულეს. საქმე ორი დღის წინათ **„ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ“** განიხილა, სადაც მედიაექსპერტებთან ერთად მონაწილეობდნენ „ინტერპრესნიუსის“ რედაქტორი და ერთ-ერთი ჟურნალისტი, ხოლო მომჩივან მხარეს წარმოადგენდნენ ირმა ნადირაშვილი და... რატომღაც გიორგი კანდელაკი (!).

2014 წლის 19 ივნისს გამოქვეყნებულ ნიუსთან დაკავშირებით „ინტერპრესნიუსს“ ორი მუხლით ედავებოდნენ: პირველი, ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და მეორე, შეასწოროს ცრუ ინფორმაცია.

თუ რა გადაწყვეტილება მიიღო „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ“ ამაზე გამგეობის ერთ-ერთი წევრი **ნათია კუპრაშვილი** გვესაუბრება: აღსანიშნავია, რომ ორივე მხარის საუბარმა კეთილგანწყობილ გარემოში ჩაიარა: „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას“ ირმა ნადირაშვილმა და ზურაბ ჯაფარიძემ ივნისში მიმართეს. ჩვენ იმთავითვე ვცადეთ მედიატორობა ორივე მხარეს შორის, „ინტერპრესნიუსის“ რედაქციამ ამასთან დაკავშირებით თავისი პოზიცია ზაფხულში გამოაქვეყნა, თუმცა, მომჩივანი მხარე პასუხმა არ დააკმაყოფილა.

**– ირმა ნადირაშვილი რას ამბობს ბაქოში დაკავებასთან დაკავშირებით?**

– რა თქმა უნდა, ის უარყოფს ასეთ ფაქტს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რასაც ირმა ამბობს, სიმართლეა. მან რაიმე დამატებითი დოკუმენტი ამასთან დაკავშირებით ვერ წარმოადგინა.

**– და რა გადაწყვეტილება მიიღო ქარტიამ?**

– რაც შეეხება პირველ ნაწილს, სიმართლის პატივისცემას, მართლაც, დარღვეულია ეს მუხლი. ვინაიდან, არ იყო გავლილი ყველა შესაძლო გზა ინფორმაციის უტყუარობის დასადგენად. რედაქციამ, ამასთან დაკავშირებით ბოდიში მოიხადა. სხვათა შორის, ეს საინტერესო „ქეისია“ ჟურნალისტებისთვის, თუ როგორ და რა ფორმით უნდა მოხდეს ინფორმაციის მოპოვება და გადამოწმება.

რაც შეეხება მეორე ნაწილს – ინფორმაციის გასწორებას – ეს ღიად დარჩა, ვინაიდან, ჩვენ არ ვიცით, მოხდა თუ არა ფაქტი, იყო ეს რეალობა თუ იყო არასწორი ინფორმაცია.



**– „ქარტიამ“ საქმის განხილვა დაასრულა თუ კიდევ გაგრძელდება?**

– ჩვენ განხილვას მოვრჩით. თუკი რაიმე ახალი გარემოება იქნება, ვთქვათ, თუ დადასტურდება ინფორმაცია, თავად დეპუტატებს მოუწევთ კომენტარის გაკეთება და საზოგადოებისთვის ამ ფაქტის ახსნა. ხოლო თუ გაირკვევა, რომ დეპუტატებზე ცრუ ინფორმაცია სააგენტომ გაავრცელა, „ინტერპრესის“ რედაქციას მოუწევს ინფორმაციის გასწორება.

**– გმადლობთ.**

ესაუბრა
**თეა მოსია**

◉ ალიან-ჩალიანი

## გარემოვაჭრეების პრობლემები ზესტაფონში

**ზესტაფონის საკრებულოს სხდომაზე გარემოვაჭრეები ძველი ბაზრის ტერიტორიის გადაკეტვას აპროტესტებენ. როგორც ისინი აცხადებენ , ბაზრის ტერიტორიის გადაკეტვის შედეგად უმუშევრები რჩებიან, რის გამოც ბანკის სესხების დაფარვას ვერ შეძლებენ. მათივე განცხადებით, ხელისუფლება ცდილობს, აღნიშნული ტერიტორია ხელში ჩაიგდოს, რადგან იქ მანგანუმის მოპოვება ხდება.**

**ზესტაფონის საკრებულოს თავმჯდომარის დავით მაღრაძის განცხადებით, ბაზრის ტერიტორიის გადაკეტვა უსაფრთხოების მიზნით მოხდა, რადგან ამ ტერიტორიაზე მოსახლეობის მიერ მანგანუმის ნარჩენების მოპოვება უკანონოდ ხდება, რასაც ხშირად ფატალური შედეგიც მოჰყვება.**

**რამდენიმე დღის წინ, ზესტაფონში, ძველი ბაზრის ტერიტორიაზე მანგანუმის მოპოვების დროს, მაღაზიის კედელი ჩამოინგრა, რასაც მსხვერპლი მოჰყვა.**

# დიდი მეცნიერი, რომელიც მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებს

**გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო პრეზიდენტს თამაზ გამყრელიძეს 85 წელი შეუსრულდა.**

თ.გამყრელიძე დაიბადა 1929 წლის 23 ოქტომბერს ქუთაისში, მოსამსახურის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ (1947 წ.) იგი გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი.

მან ყმაწვილკაცობიდან ყურადღება მიიქცია როგორც სხვადასხვა ტიპის ენების სტრუქტურისა და ისტორიის საკითხების ნიჭიერმა მკვლევარმა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1952 წ.) თ.გამყრელიძემ აკადემიკოს გ.წერეთლის ხელმძღვანელობით სემიტოლოგიური სკოლა გაიარა და დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ გაიგზავნა ლენინგრადში, სადაც პროფ. ი.დიაკონოვის ხელმძღვანელობით დასპეციალდა აღმოსავლეთის ძველ ენებში (აქადური, ურარტული, ხეთური). ასპირანტურის კურსის წარმატებით დამთავრების შემდეგ მან ფართო ზოგადლინგვისტური და სააღმოსავლეთმცოდნეო მომზადება მიიღო.



სხვადასხვა სისტემათა ენების (სემიტურის, ინდოევროპულის, ქართველურის, წინა აზიის ძველი ენების და ა.შ.) განსაკუთრებით კარგმა ცოდნამ, აგრეთვე ფართო ზოგადთეორიულმა მომზადებამ საშუალება მისცა, მას 1956 წელს დაეცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ხეთური ენის არაინდოევროპული ელემენტები“.

1962 წელს თამაზ გამყრელიძე იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე: „ხეთური ენა და ლარინგალური თეორია“. დისერტაციაში შემოთავაზებული იყო ინდოევროპული ლარინგალურის ორიგინალური სისტემა და გამოკვლეულ იქნა ლარინგალურ ფონემათა დიაქრონული ტრანსფორმაციები, რომლებმაც განსაკუთრებული რეფლექსები მოგვცა ისტორიულ ინდოევროპულ ენებში.

ამ მნიშვნელოვან გამოკვლევაში ავტორი უკვე წარმოგვიდგა როგორც მეცნიერი, რომელიც მზადაა, გადაწყვიტოს ინდოევროპულ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის ცენტრალური საკითხები. თ.გამყრელიძე მიჩნეულ იქნა ხეთოლოგიის ერთ-ერთ დამფუძნებლად საბჭოთა კავშირში.

არაჩვეულებრივად ფართოა აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის მეცნიერული ინტერესები. იგი მრავალი ნაშრომის ავტორია ინდოევროპული ენათმეცნიერების, სემიტოლოგიის, წინა აზიის ძველი ენების დარგში.

ზოგადლინგვისტური პრობლემებით დაინტერესებულმა თამაზ გამყრელიძემ ლინგვისტური ტიპოლოგიისა და არეალური ლინგვისტიკის საკითხებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები ჩაატარა. ამასთან დაკავშირებით, მეცნიერის ნაშრომებში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი სხვადასხვა სისტემის ენათა ანალიზს, კერძოდ, სამხრეთ-კავკასიური (ქართველური) ენების სტრუქტურისა და ისტორიის გამოკვლევებს. ამ დარგში შესრულებულ უკვე პირველსავე სამუშაოში მის მიერ ახლებურად იყო დასმული ქართველური ენათმეცნიერების მთელი რიგი ტრადიციული საკითხები.

თამაზ გამყრელიძის მიერ ისტორიულ ქართველურ ენებში სიბილანტური რიგის ზოგადენობრივი ფონემების ასახვის დადგენილი კანონზომიერება სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია როგორც „გამყრელიძის კანონი“. წამყვანი სპეციალისტების აზრით, ამ კანონს მნიშვნელობა აქვს არა მარტო ცალკეული ქართველური ენების ისტორიისათვის, არამედ იგი ზოგადლინგვისტურ და ზოგადმეთოდოლოგიურ მნიშვნელობას იძენს.

ქართველური ენათმეცნიერების განვითარების ახალ ეტაპად მოგვევლინა თამაზ გამყრელიძის მიერ (გივი მაჭავარიანის თანაავტორობით) შექმნილი მონოგრაფია „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“. ამ გამოკვლევაში, რომელმაც თავისი მეთოდოლოგიური აღჭურვილობის მიხედვით კომპარატივისტიკის დარგის თანამედროვე დონეზე დააყენა ქართველოლოგია, არსებითად შემუშავებულ იქნა ქართველური ენების შედარებითი გრამატიკის პრინციპულად ახალი კონცეფცია, ახალი „პარადიგმა“. იგი ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა არა მარტო ქართველოლოგიაში, არამედ საერთოდ თანამედროვე დიაქრონულ ლინგვისტიკაში. მონოგრაფია საზღვარგარეთაც გამოიცა გერმანულად.

აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ფუნდამენტურმა ორტომეულმა გამოკვლევამ „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები. ფუძე-ენისა და პროტო-კულტურის რეკონსტრუქცია და ისტორიულ-ტიპოლოგიური ანალიზი“, რომელიც შეიქმნა გამოჩენილ მეცნიერთან, აკადემიკოს ვიაჩესლავ ივანოვთან თანაავტორობით. 1988 წელს მონოგრაფიის ავტორებს ლენინური პრემია მიენიჭათ მეცნიერების დარგში.

ავტორთა ეს ფუნდამენტური გამოკვლევა არსებითად „ახალ პარადიგმას“ წარმოადგენს შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებაში, რომელიც აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ განსაზღვრა როგორც „ტიპოლოგიური შედარებით-ისტორიული ლინგვისტიკა“ და რომლის იდეა თავდაპირველად შემოთავაზებული იყო თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის რომან იაკობსონის მიერ.

აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე განსაკუთრებით მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტით სარგებლობს. მეცნიერი არჩეულია „ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის“ უცხოელ წევრად, „ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის“ საპატიო წევრად, „ბრიტანეთის აკადემიის“, „ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის“ უცხოელ წევრად, „საქსონიის მეცნიერებათა აკადემიის“, „უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის“ საპატიო წევრად, „ევროპული აკადემიის“ წევრად და სხვ.

ქართველი მეცნიერი არჩეულია „ამერიკული ლინგვისტური საზოგადოების“ საპატიო წევრად და „ევროპული ლინგვისტური საზოგადოების“ წევრად (რომლის პრეზიდენტად და ვიცე-პრეზიდენტად არჩეული იყო სხვადასხვა წლებში), „ინდოევროპული საზოგადოების“ საპატიო წევრად (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), არის ჰუმბოლტის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და სხვ. იგი ბონისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტების საპატიო დოქტორია.

თამაზ გამყრელიძე საერთაშორისო ლინგვისტური კონგრესების და ენათმეცნიერთა სხვა მნიშვნელოვანი ფორუმების უცვლელი მონაწილეა, ხშირად გამოდის მოხსენებებით და კითხულობს ლექციებს ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში.

აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ თავისი სამეცნიერო-საორგანიზაციო მოღვაწეობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაიწყო, სადაც ხელმძღვანელობდა ძველაღმოსავლური ენების განყოფილებას, ხოლო 1960 წლიდან, აკადემიის სისტემაში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ჩამოყალიბების შემდეგ, მას ირჩევენ ამ ინსტიტუტის წინა აზიის ენათა განყოფილების გამგედ. თ.გამყრელიძე პარალელურად იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც იგი არჩეულ იქნა კიბერნეტიკის ფაკულტეტზე ახლად ჩამოყალიბებული სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრის გამგედ. 1964 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება.

1973-2005 წწ. თამაზ გამყრელიძე ხელმძღვანელობდა აკად. გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს, არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად. 2005-2013 წლებში აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი. 2013 წლის ივლისიდან აკადემიის საპატიო პრეზიდენტია. იგი ამჟამად აგრძელებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან არსებული აკად. გ.წერეთლის სახ. “რუსთაველის კომიტეტის“ ხელმძღვანელობას, სადაც მიმდინარეობს მუშაობა „ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის“ დადგენაზე, „ქართული ენის თესაურუსის“, აგრეთვე „ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ შედგენაზე.

აკად. თამაზ გამყრელიძე 1984 წელს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს. 1981-1991 წწ. იგი იყო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილებასთან არსებული ფონეტიკისა და ფონოლოგიის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, ხოლო 1988-1995 წწ. — საკავშირო (შემდგომ რუსეთის) აკადემიური სამეცნიერო ჟურნალის „ენათმეცნიერების საკითხები“ მთავარი რედაქტორი.

აკადემიკოსი თ.გამყრელიძე 1985 წელს აირჩიეს საკავშირო უმაღლესი საბჭოს XI მოწვევის დეპუტატად. მეცნიერი იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს და საქართველოს პარლამენტის რამდენიმე მოწვევის წევრი (1990-1992 და 1992-2003 წწ.). სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს და მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების საკოორდინაციო საბჭოს.

თ.გამყრელიძე დელეგატი და აქტიური მონაწილე იყო საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობისა, რომელიც მოსკოვში (1989 წ. 25 მაისი - 9 ივნისი) ჩატარდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ყრილობაზე მისი ისტორიული გამოსვლა, რომელიც დაკავშირებული იყო თბილისში 1989 წლის 9 აპრილს დატრიალებულ ტრაგედიასთან. თავის მამხილებელ სიტყვაში თ.გამყრელიძემ მკაცრად გააკრიტიკა მაშინდელი საბჭოთა კავშირის უმაღლესი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა.

XXI საუკუნის დასაწყისში საკითხები, რომლებიც რესურსების და სამეცნიერო პოტენციალის შენარჩუნებასთან, აგრეთვე მეცნიერებათა აკადემიის სისტემის რეფორმირებასთან და მეცნიერების შემდგომ განვითარებასთან იყო დაკავშირებული, ფართო საზოგადოებრივი განხილვის საგანი გახდა. რთულ სიტუაციაში, რომელიც 2005 წლის დასაწყისისათვის ჩამოყალიბდა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად არჩეულ იქნა აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე.

ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა და აკადემიის პრეზიდიუმმა, პირველ რიგში, მთელი ყურადღება გაამახვილეს მეცნიერებათა აკადემიის სისტემის რეფორმირებისა და მისი სტრუქტურის ოპტიმიზაციის საკითხებზე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თამაზ გამყრელიძის მიერ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ „მეცნიერებათა აკადემია უნდა იყოს არა „მეცნიერთა ასოციაცია“ სამეცნიერო ინსტიტუტებისა და ცენტრების გარეშე, არამედ საბაზისო დაფინანსებაზე დაფუძნებული ფუნდამენტურ სამეცნიერო გამოკვლევათა ერთიანი ეროვნული ცენტრი, დამოუკიდებელი, ავტონომიური სამეცნიერო ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების ერთობლიობა, მეცნიერების დარგში უმაღლესი სახელმწიფო ორგანო, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტის პატრონაჟის ქვეშ იქნება“.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო 2007 წლის დეკემბერში მიღებული კანონი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ, რომლის შესაბამისად მას „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“ ეწოდა. კანონით დადგინდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტატუსი, ამოცანები და მოღვაწეობის წესი. აკად. თამაზ გამყრელიძის პრეზიდენტობის დროს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში საპატიო აკადემიკოსად არჩეული იყო მისი უწმინდესობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, აგრეთვე მსოფლიო პატრიარქი ბართოლომეოს I.

აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე მჭიდროდ არის დაკავშირებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობასთან დღიდან მის მიერ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრებისა აკადემიკოს გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით. ამჟამად იგი არის მრჩეველთა საბჭოს წევრი და ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის „თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტს“, მიყავს კურსი „თეორიულ ენათმეცნიერებაში“. აღსანიშნავია ის, რომ სწორედ თამაზ გამყრელიძის დიდი ძალისხმევის შედეგად ჩვენს პირველ ქართულ უნივერსიტეტს დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელი ეწოდა და ამ ბოლო წლებში, როდესაც ჩვენს უნივერსიტეტს რეორგანიზაციის საბაბით ფაქტიურად სრული ნგრევა ემუქრებოდა, მან გამოაქვეყნა იმ დროისათვის მეტად გახმაურებული წერილი „ივანე ჯავახიშვილის მესამე სიკვდილი“, რომელშიც გამოაშკარავებული იყო ამგვარი „რეორგანიზაციის“ უარყოფითი მხარეები.

აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის ცსოვრება და მოღვაწეობა მეცნიერებისადმი ერთგულების ნათელი მაგალითია. მთელ მის სამეცნიერო, სამეცნიერო-ორგანიზაციულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას მუდმივად თან ახლავს მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა.

თამაზ გამყრელიძე არის დიდი კულტურის, ფართო ერუდიციის ადამიანი, დახვეწილი გემოვნებით, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ნატიფი შემფასებელი, კლასიკური მუსიკის დიდი მოყვარული, თვითონ შესანიშნავად უკრავს ფორტეპიანოზე, აქტიურად ფლობს მრავალ ენას — დასავლურსა და აღმოსავლურს.

85 წლის აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე აქტიურ ცხოვრებას ეწევა, ბევრ დროს უთმობს სპორტს — ცურავს, თამაშობს ჩოგბურთს.

ვუსურვოთ იუბილარს მრავალჟამიერი სიცოცხლე, მტკიცე ჯანმრთელობა, ოჯახური კეთილდღეობა და ახალი დიდი მიღწევები ჩვენი მეცნიერების შემდგომი განვითარების საქმეში.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

◉ გერმანია თავის მოქალაქეებს ურჩევს...

# რატომ მოვხვდით სარისკო ქვეყნების ჯგუფში?

**საქართველოსა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის შემდეგ ცნობილი ხდება, რომ 2017 წელი გერმანია-საქართველოს წლად გამოცხადდება. თუმცა, ამის პარალელურად, გერმანული მედიის ინფორმაციით, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველო სარისკო ქვეყნების ჯგუფში შეიყვანა. გერმანული მედიის ინფორმაციით, „ისლამური სახელმწიფოს“ აქტივობის გამო, ამ ქვეყანაში მოგზაურობა მიზანშეწონილი არ არის. სიაში, რომელშიც, ძირითადად, აფრიკული სახელმწიფოები არიან, საქართველოს ერთი საფეხურით იაპონია უსწრებს.**

თავად, საგარეო საქმეთა მინისტრი იმედოვნებს, რომ გერმანია



საქართველოს სარისკო ქვეყნების ჩამონათვალიდან მალე ამოიღებს. მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ნათქვამია, რომ საქართველოში არის ორი ოკუპირებული ტერიტორია, სადაც შესვლას არ ურჩევენ გერმანიის მოქალაქეებს. აგრეთვე, არ ურჩევენ საქართველოში შესვლას სხვა გზით, მაგალითად, რუსეთის საზღვრიდან, რადგან ეს ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ კანონს ოკუპაციის შესახებ და სწორედ ეს ნაწილებია გამოცხადებული, როგორც საფრთხის შემცველი და როგორც მაია ფანჯიკიძე ამბობს, საქართველო ამ მოსაზრებას იზიარებს.

ფაქტს უკვე მოჰყვა შეფასებები საქართველოში. საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკანიანი იმ მიზეზებს განმარტავს, თუ რატომ შეიყვანა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველო სარისკო ქვეყნების ჯგუფში. ზალკანიანის განცხადებით, ასეთი ტიპის განცხადებებს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ისევე როგორც ევროპის ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროები, ყოველწლიურად ავრცელებენ და როგორც ზალკანიანი აცხადებს, ამაში საგანგაშო არაფერია.

**„თუკი თქვენ ყურადღებით წაიკითხავთ სხვა ქვეყნებთან მიმართებაში გამოთქმულ პოზიციას, დიდ განსხვავებას ვერ დაინახავთ იგივე პოლონეთთან, რუმინეთთან, ასევე საფრანგეთთან მიმართებაში, ანუ სიაში არის ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები, სადაც მსგავსი ტიპის განცხადებები მათთან მიმართებაშიც არის გამოთქმული“,** — განაცხადა ზალკანიანმა.

როგორც ზალკანიანმა აღნიშნა, საქართველოს სარისკო ქვეყნების სიაში შეყვანა, მნიშვნელოვნად განაპირობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილმა სიტუაციამ და იქ არსებულმა უკონტროლო პროცესებმა, რომელსაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ვერ აკონტროლებს. **„მეორე მიზეზი ასევე შემიძლია, დაგისახელოთ, ძალიან სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა გერმანულ პრესაში სვანეთში მომხდარ ინციდენტს, როდესაც რამდენიმე გერმანელი ტურისტი დააყაჩაღეს. სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია ძალიან სერიოზული აჟიოტაჟი გერმანულ პრესაში. ჩვენი ვარაუდით და ინფორმაციით, დიდწილად სწორედ ამით არის განპირობებული აღნიშნულ სიაში საქართველოს მოხვედრა.**

**აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება მართებს ყველას, განსაკუთრებით იმ სტრუქტურებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ქვეყანაში ტურისტების და ვიზიტორების უსაფრთხოების კუთხით, რათა კიდევ უფრო გამკაცრდეს კონტროლი ამ მიმართულებით“,** — აცხადებს დავით ზალკანიანი.

„ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოს სარისკო ქვეყნების ჩამონათვალში შეყვანას ხელისუფლების უპასუხისმგებლობით ხსნის. გიორგი ღვინიაშვილის განმარტებით, საგანგაშოა, რომ ხელისუფლებამ ძალიან მოკლე ხანში მოახერხა წყალში ჩაეყარა წლების განმავლობაში გაწეული შრომა, რის შედეგადაც საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ უსაფრთხო ქვეყანას წარმოადგენდა.

ექსპერტი კახა გოგოლაშვილი ამბობს, რომ ქვეყნის სტაბილურობაზე პასუხისმგებელი არის ხელისუფლება. რაც შეეხება მაღალი რისკის ქვეყნად საქართველოს აღიარებას, მიზეზად გოგოლაშვილი მოუგვარებელ კონფლიქტებს ასახელებს, თუმცა, ერთ-ერთ მიზეზად კრიმინოგენური სიტუაციის ზრდას ასახელებს.

**„კრიმინოგენური ვითარებაც, ალბათ, კავშირშია. ასევე, რუსეთის აქტიური სამხედრო მოქმედებები ჩვენს რეგიონში და შესაბამისად, რუსეთთან მოუგვარებელი ურთიერთობა, რომელიც არავინ არ იცის გადაიზრდება თუ არა ახალ კონფლიქტში, ეს არის ძირითადი პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს ამ სტატუსის დაფიქსირებას საქართველოსთვის. ამას სჭირდება კომპლექსური მიდგომა.**

**საქართველო ვერ გაექცევა იმას, რომ რუსეთი ეწევა აგრესიულ პოლიტიკას, ვერც კონფლიქტების მოგვარება ვერ მოხდება სწრაფად, ამიტომ, ეს პრობლემა ჯერჯერობით დარჩება. ერთადერთი, რჩება ის, რომ მაქსიმალურად გაუმჯობესდეს სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა და საქართველო აღიარებული იქნას უსაფრთხო ქვეყნად კრიმინოგენური სიტუაციის თვალსაზრისით, რაც ხელს შეუწყობს სხვა ფაქტორების დაბალანსებას“,** — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას კახა გოგოლაშვილი.

**თამთა ქარჩავა**

◉ მკითხველი მოსაზრებას გვთავაზობს

# რაც ჩვენი აღორძინების ნიშანსვეტი იქნება

## ქალაქ თბილისის მერს ბატონ დავით ნარმანიას

ბავშვობაში, 16 წლის ასაკში შექმნილი გამოგონებების აზარტით წახალისებულმა, ახალგაზრდობის შემოქმედებითი საქმიანობის გააქტიურების მიზნით გამოვეცი წიგნი „ვაზი ჩვენი სიამაყე“, სადაც არაერთ მნიშვნელოვან საკითხთან ერთად გავახმიანე ისიც, რომ აღმაშენებლის მოღვაწეობის, და მისი გარდაცვალების 900 წლის თავზე (2025 წლის იანვარში), გმირთა მოედანზე დაიდგას აღმაშენებლის მოოქროვილი ძეგლი. მეფე დავითის მოღვაწეობის 400 წლის შემდეგ ჩვენმა გონიერმა წინაპრებმა მას აღმაშენებელი რომ უწოდა, დღეს ჩვენ უფრო მეტად მოგვეთხოვება ტრიუმფალურად აღვნიშნოთ მისი ფასდაუდებელი ნამოღვაწარი, რათა არა მარტო დღევანდელმა, არამედ მომავალმა თაობებმაც საუკუნეების მანძილზე იამაყონ ჩვენი ნამოქმედარით. **დიახ, დავით აღმაშენებლის ღვაწლის უფრო მეტად დასაფასებლად და ამ საამაყო ხანის უკვდავსაყოფად ჩვენი ვალია უდიდეს ერისკაცს დავუდგათ მოოქროვილი ძეგლი და შარავანდედად ოქროს გვირგვინი დაადგას საქართველომ, რითაც გვიწინამძღვრებს კიდეც და ყოველდღიურად შეახსენებს თითოეულს, თუ როგორ ილვწოდა ქვეყნის თავკაცი, როცა არ იყო ტექნიკა, დენი, ტელეფონი, დღევანდელი დონის გზები, ჯანდაცვა... ურიგო არ იქნება კიდევ ერთხელ დაბეჯითებით გავიმეორო — აღმაშენებელმა, რომელიც არ იყო განებივრებული არა მარტო დღევანდელი დონის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით, არამედ ქვეყანაში არ არსებობდა უბრალო ასანთიც კი, სამშობლო რა დონეზე გააერთიანა და ააღორძინა.**



საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში უანგაროდ წარმოვადგენ მაკეტს აღმაშენებლის მოოქროვილი ძეგლით და გარსშემორტყმულს დიდებული მოღვაწეების — გიორგი ჭყონდიდელის, არსენ იყალთოელის და სხვათა ხილვით.




საამაყოა, რომ უკვე ბევრმა ქართველმა და ჩვენი მოძმე ერების წარმომადგენლებმა (წიგნის გაცნობით) გამოთქვეს უდიდესი სურვილი, თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ საშვილიშვილო საქმეში. პირადად მე უშურველად შევწირავ 10 ტონა ყურძნის ღირებულების თანხას.

ამავდროულად, გთავაზობთ ზოოპარკის ტერიტორიაზე, მისი გადატანის შემთხვევაში, ან სხვა ადგილას მოეწყოს ეროვნული პანორამა სახელოვანი მეფეების საამაყო წარსულით და იმდროინდელი ქართველი ხალხის გმირობისა და შემოქმედების ნამოღვაწარით, რისი მოწყობის ზოგიერთ ხანას ნახატებითა და მაკეტებით თავად მე წარმოვადგენ. კონკრეტულად:

როგორი იყო მაცნე და მეფესთან შეხვედრა;

დიდგორის, ერწუხის, ბასიანისა და სხვა სახელოვანი ბრძოლები, ასევე მარაბდის ველზე 9 ძმა ხერხეულიძის გმირობა;

როგორ მოიპოვებოდა წიაღისეული, როგორ იჭედებოდა ხმალი და სხვა სასოფლო იარაღები და საოჯახო ნივთები;

როგორ იხვნებოდა მიწა, ითესებოდა, ილეწებოდა ხორბალი და როგორ ეზიდებოდნენ ურმებით მოსავალს და ტვირთს;

როგორ იწვებოდა, ირეოდა კირი და შენდებოდა გელათი, ჯვარი, მეტეხი, სვეტიცხოველი... და იკვეთებოდა კლდეში დავით-გარეჯი, ვარძია, უფლისციხე;

როგორ ინთებოდა ცეცხლი;

როგორ იძერწებოდა ეკლესიებზე მზესავით უკვდავი და ჩაუქრობელი ვაზის ლერწები და მტევნები;

როგორი იყო გზები, ხიდები, მათ შორის, მდინარე ბესლეთზე გადებული, ქვისგან გათლილი ხიდი;

თამარის სახელოვანი ეპოქა ბრძოლებით, 120 კმ სიგრძის ალაზნის და 20 კმ სიგრძის სამგორის არხები (შემცირებული მასშტაბით);

გორგასლის ბრწყინვალე ეპოქა და თბილისის დაარსება;

მსოფლიოში გამორჩეული ქართული ანბანის განვითარების საფეხურები;

როგორი იყო პირველი სტამბა და წიგნის დაბეჭდვა.

ცოტნე დადიანის, დემეტრე თავდადებულის, გიორგი ბრწყინვალის, მეფე ერეკლეს და სხვათა თავგანწირული გმირული მაგალითებით გავამდიდროთ პანორამა, რომელიც თვალნათლივ და მკაფიოდ დაგვანახვებს, რომ საქართველო არის გმირული წარსულისა და დიადი ტრადიციებით მდიდარი ქვეყანა, და ამიტომაც მაშინდელი ჩვენი ქვეყნის ეროვნული შემოსავალი ბევრად ჭარბობდა საფრანგეთის ეროვნულ შემოსავალს, რასაც ივანე ჯავახიშვილი წიგნში „ქართველი ერის ისტორია“, ტომი 2, გვ. 394 ადასტურებს.

აღნიშნული პანორამა გახდება საქართველოს აღორძინების დიდი ნიშანსვეტი. გთხოვთ, მხედველობაში მიიღოთ ისიც, რომ განვითარებული ქვეყნების დედაქალაქებში შექმნილია ეროვნული ისტორიის დიდი პანორამები, რომლებსაც ემოციურ და პატრიოტულ დანიშნულებასთან ერთად მილიონობით ტურისტის ხილვის დატვირთვაც აქვს. ვფიქრობ, ოქროსგვირგვინიანი ძეგლის დადგმას და ეროვნული პანორამის მოწყობას, რომელიც ოქროს შარავანდედით შემოსავს ჩვენს სახელოვან წიანაპრებს და მათ ნაღვაწს, სახელმწიფოს კეთილი ნება წარმატებით დააგვირგვინებს.

პატივისცემით

**თამაზ ქვლივიძე,**
**საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი.**
**ტელ: 599 10 43 18**

**ჩვენი მინაწერი:** იმედია, დედაქალაქის ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს ყოველივე ღირებულს, რაც მკითხველის ამ მოსაზრებაშია.

## იმედი ვუსურვოთ!

„გვახსოვდეს, აფხაზეთი! – დასავლეთისკენ მიმავალ მგზავრებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებოდა ეს წარწერა, რომელიც რატომღაც ეს ბოლო წლებია, გაქრა. სამაგიეროდ, აფხაზეთი ცოცხლობს ყველას გულში, ვისაც სამშობლოს სიყვარული და მისი ტერიტორიული მთლიანობა გაუხდია სასიცოცხლო ფიქრად. დიახ, ყველას გვახსოვს აფხაზეთი, მეტადრე მათ, ვისაც შეხება ჰქონია ამ უმშვენიერეს კუთხესთან. რაოდენ ამაღელვებელი იყო ჩემთვის ის ორი პატარა ჩანახატი, რომელიც რედაქციაში ამ რამდენიმე დღის წინათ 86 წლის ქალბატონმა, საქართველოს დამსახურებულმა პედაგოგმა ლილი ტყემალაძე-მშვიდობაძემ გამოგვიგზავნა. მან ხომ მთელი თავისი ახალგაზრდობის წლები, მთელი პედაგოგიური მოღვაწეობა მიუძღვნა ამ კუთხეს და ერთ-ერთმა ყველაზე ბოლომ დატოვა სოხუმი იმ ავადსახსენებელ 27 სექტემბერს.

26 წლის თბილისელი ქალიშვილი სოხუმის მე-17 საშუალო სკოლის რუსული ენის პედაგოგად ეწვია აფხაზეთს და თითქმის ორმოცი წელი ემსახურა მშობლიურად ქცეულ ქალაქს. ჩემთვის ყველაზე მეტად ამაღელვებელი იყო ის ფაქტიც, რომ ქალბატონი ლილი დედაჩემის პედაგოგიც აღმოჩნდა, რომელსაც სწორედ ეს სკოლა აქვს დამთავრებული. სოხუმი ხომ ჩემი მშობლიური ქალაქიც არის. ამაგდარ ქალბატონს, რომელიც თავის თბილისს დევნილად დაუბრუნდა, ვუსურვოთ ჯანის სიმრთელე და იმედი იმისა, რომ ყველანი დავბრუნდებით ამ თვალწარმტაც კუთხეში – მანამდე კი „გვახსოვდეს, აფხაზეთი!“

**მამუკა ვაშაკიძე.**



## მე ერთ პატარა აფხაზ გოგონას ვიცნობდი

**დღეს დილით თვალი შევავლე სერვანდზე მდგარ ორ საყვავილეს. მიკვირს, რამდენი რამ, რაც აუცილებელი იყო საყოფაცხოვრებოდ, იმ ავბედით დღეს დამრჩა სოხუმში. ესენი კი მანამდე, დიდი ხნით ადრე წამომიღია.**

ერთი პატარა აფხაზი გოგონა გავიცანი სოხუმის რკინიგზის სადგურზე. ძალიან მომეკედლა, არ მშორდებოდა. მეც ვიგრძენი, რომ იმ პატარას ვჭირდებოდი. ეს ის მომენტი იყო, როცა მოსწავლეთა ჯგუფი აფხაზეთიდან მიდიოდა თბილისში, პიონერთა სასახლეში კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, ამ ჯგუფს ვხელმძღვანელობდი მე.

გოგონას არც სახელი და არც გვარი არ მახსოვს. დიდი დროა გასული, მაგრამ მისი ხუჭუჭა თმა და ჭკვიანი თვალები დამამახსოვრდა. კონკურსში გაიმარჯვა, პატარა მოთხრობა ჰქონდა დაწერილი, არ დამავიწყდება მისი მორიდებული გამოხედვა, თუნდაც შიშნარევი, ნერვიულობდა. დაიწყო კითხვა და ყველა გაგვაოცა. დაამთავრა კითხვა და აალებულმა შემხედა. მე კი ცერა თითით ვანიშნე, რომ კარგია-მეთქი. გაიღიმა და თავი ჩაღუნა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, კონკურსში გაიმარჯვა. მატარებელში ერთ კუპეში მოვხვდით, გავიგე დედა არ ჰყოლია. დავშორდით ერთმანეთს. თურმე ის გოგონა ჩემთან ახლოს ცხოვრობდა.

გავიდა ხანი, სკოლა დაამთავრა, დაამთავრა სოხუმის პედინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტი და ბედმა ისევ საქმიან ვითარებაში შეგვახვედრა. დავპირდი, ჩემს მეუღლეს ვთხოვ, რომ სამსახურში მოგაწყოს ინსტიტუტში-მეთქი. მართლაც, ერთთვიანი შემოწმების შემდეგ ის სამსახურში მოეწყო.

ერთ დღეს ლოყებაწითლებული, დაბნეული მოვიდა ჩემთან და პატარა ვაზა გამომიწოდა, მე ვერც მოვასწარი უკან დამებრუნებინა მორთმეული საჩუქარი, რომ შებრუნდა და მომაძახა: „этот подарок, от первой зарплаты“.

ჩემს მდგომარეობას არ აღვწერ. გოგონა, რომელსაც დედა გარდაეცვალა, ისწავლა, დაამთავრა ინსტიტუტი, მოეწყო სამსახურში, ალბათ, როგორ ელოდა პირველ ხელფასს და გადაწყვიტა ნაწილი მოეკლო ფულისათვის და ჩემთვის პატივი ეცა.

ჩემო კარგო, იმ წუთებში, ალბათ, არც შენ და არც მე, არ ვგრძნობდით, რომ სხვადასხვა ეროვნებისა ვიყავით, ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი.

დღეს სად ხარ, ჩემო პატარა გოგოვ, რომელიც მომეკედლე, მგონი, მეც არ დამიკლია შენთვის სითბო. შემხვდებოდი გაბრწყინებული თვალებით – „Лили Висарионовна, как живете“, მაკოცებდი და გაიქცეოდი, ყოველთვის გეჩქარებოდა.

ვითომ ერთმანეთს მივეცით საბაბი, რათა შეგვეძულებინა ერთმანეთი? „მესამე მხარემ იმოქმედაო“. ახლა იმ „მესამე მხარემ“ რომ გვიბრძანოს, ისევ შეიყვარეთ ერთმანეთიო, მომიბრუნდები და კვლავ შემიყვარებ? ისევ სიყვარულით შემხედავ თვალებში?

არ ვიცი, საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, ქართველის ბუნება ასეთია – ვიცით პატიება, ცუდის დავიწყება. ალბათ, რამდენჯერ გაივლი ჩემს დამახინჯებულ სახლთან (დღევანდლამდე არავინ ცხოვრობს შიგ) და არავითარი გრძნობა არ გიჩნდება. მე ეს არ მინდა დავიჯერო. ჩვენ ისევ ისინი ვართ, ვისაც ერთმანეთის პატივისცემა გვქონდა, ერთად ვცხოვრობდით, ერთად ვიტანდით ჭირსაც და ბედნიერებასაც, ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ. შენ თუ მოინდომებ, ჩვენ ორნი უკვე შემოვიკრებთ ჩვენს მეგობრებს, ჩვენს გარშემო ადამიანებს, ისინი სხვებს და ასე აღდგება ჩვენი ძველი, კეთილი და მოსიყვარულე კავშირები.



## ფიქრები, ფიქრები, ფიქრები

**დენიდან გამოთიშული უსინათლო ნათურა ვარ! არ იფიქროთ, ასე ვფიქრობდი ადრე, მშობლიური კუთხის დატოვებამდე, მაგრამ დღეს, ნოსტალგიამ დამრია ხელი, ვერსად გავექეცი, დროს თითქოს ჩემი კიდევ უფრო გაუფერულება სურს. რატომ? პასუხი არ არის.**

გვახსოვდეს, აფხაზეთი! ხშირად პრესაში ვკითხულობ. არის კი დღე, რომ არ მახსოვხარ, ჩემო! ჩემი ბავშვობა თბილისს ეკუთვნის. აქ დავიბადე და აქ გავიზარდე. აფხაზეთი ჩემი შეგნებული ცხოვრების გზატკეცილია. ძიძარიას ქუჩა სოხუმში, ჩემი და ჩემი მეუღლის შრომით აშენებული საცხოვრებელი, ჩემი ლამაზი ეზო, ზურის და ჩემი მეუღლის გემოვნებით გაშენებული.

აი, დავბრუნდი სკოლიდან. უფრო სწორად სკოლიდან ბაზარში და ბაზრიდან დატვირთული, ჩემი ეზოს ჭიშკარს ვაღებ. კარს რაღაც ებღაუჭება, ხელს მიშლის გაღებაში.

„ტობიკ, მომშორდი, ნუ გაგიჟდი, შენი თავი არ მაქვს!“ ჩემი ერთგული ცუგო გრძნობს, რომ არ ვჯავრობ. უნდა მომახტეს და ამლოკოს. მე ვჯავრობ, ტობიკა გახარებულია, მარტო რომ აღარ იქნება. სახლის კიბეზე არბის კუდის ქნევით, ცოტა ხანს კიბის თავთან შეჩერდა და მიყურებს, მზვერავს, როგორ ხასიათზე ვარ. შეიძლება თუ არა კიბეებზე კუდის ქნევით დაშვება და თავის ქიცინით ისევ ჩემთან მოახლოება, მე მეცინება, ტობიკა კი გახარებულია. შევდივარ ბინაში, ძალიან დაღლილი ვარ, ტობიკა გრძნობს ამას და სახლის კიბის პირველ საფეხურზე ჩამოჯდება, ელოდება. რას? მნიშვნელობა არ აქვს. უბრალოდ, სითბოს გრძნობს და თვითონ გაათმაგებულ სიყვარულს მიბრუნებს.

და აი, ომი. დამარცხება, იძულებით დარჩენილი ვარ სოხუმში, ვცხოვრობ ნათესავი აფხაზის ოჯახში. იქიდან დავდივარ ჩემს განადგურებულ სახლში. ტობიკა, თითქოს გრძნობს, თითქოს კი არა, ნამდვილად გრძნობს ჩემს სასოწარკვეთილებას, ახლოს არ მეკარება, დამჯდარი თითქოს თანამიგრძნობს, ისე მაყოლებს თვალებს, მე ხომ დაცარიელებულ სახლს ვათვალიერებ, ვეძებ ავეჯიდან რამე თუ დარჩა. ყველაფერი ფასეული წაღებულია, მე საცოდავი მაინც ვაგრძელებ ჩემს ტრადიციას – ეზოს ვხვეტავ, სახლში ცარიელი ოთახები მზარავს.

მანქანა შეჩერდა ეზოს ჭიშკართან. ორი ახალგაზრდა აფხაზი გადმოდის და ყურადღებას არ მაქცევენ, ისე შედიან ჩემს ბინაში, მაგრამ წასაღები არაფერია. ვერ ვითმენ, ალბათ, ჩემი პედაგოგობის ჩვევამ მძლია და ვეუბნები ბიჭებს: „ბიჭებო, თქვენ, გასაგებია საშოვარზე ხართ, ქალებს ნუ გახდით ბანდიტებად, ნუთუ მოგწონთ, სხვისი ქონებით დატვირთული ურიკებით რომ ჩქარობენ ოჯახებისკენ“. არ მესროლეს, მაგრამ პანღური კი მივიღე, თან დაცინვით დააყოლეს – „უბიც, ილი ნი უბიც“. მე ენა ჩამივარდა, ჩემი ტობიკა გადაირია, გიჟს დაემსგავსა და ავტომატის ხმა შემომესმა. მეგონა, მე მესროლეს. ერთი წუთით გონება დამეხშო. გონზე რომ მოვედი, ჩემი ტობიკა მიწაზე ეგდო.

ტობიკ, მე არაფერი არ შემეძლო, მე არავის არ შევეცოდებოდი, გაძარცული ვიყავი. ძველი ამოთხრილი ორმო იყო ეზოში და სამუდამო ბინა აქვე მოგეცი. ტობიკ, ჩემო კარგო, შენი შემშურდა, მოგეფერე (თუმცა, თავი სად მქონდა), შემებრალე, გული დამწყდა. ვიდექი მარტო, ჩემი სახლის დამახინჯებულ ფასადთან და არ ვიცი, რაზე ვფიქრობდი, რისი იმედით ვაგრძელებდი სიცოცხლეს. მე ხომ არავინ თანამიგრძნობდა, მაგრამ, მგონი, შევცდი, როცა ვამბობ, არავინ მყავდა თანამგრძნობი-მეთქი. როგორ არ მყავდა, განა შენ არ იყავი, ჩემო კარგო, განა შენ ჩემი დაცვისთვის არ მიიღე ბიჭებისგან ტყვია? მე ყოველთვის მახსოვხარ, ტობიკ, ჩემო მეგობარო, ჩემო თანამგრძნობო, ჩემი ტკივილის გამზიარებელო. ვერ ვივიწყებ შენს წყლიან თვალებს. მაშინ ვერ ვაფასებდი შენს თანაგრძნობას. მიყვარხარ, ტობიკ! ჩემო უტყვო შემბრალებელო, ჩემთვის თანაგრძნობისათვის ტყვიით განგმირულო, დავრჩი დენიდან გათიშული, უსინათლო ნათურა.

**ლილი მშვიდობაძე**

ალიანჩალიანი

## ლარსის გამშვები პუნქტი იქნებ ცხინვალის გზით შეიცვალოსო



**გორის** მაჟორიტარი დეპუტატი სოსო ვახტანგაშვილი რუსეთთან ტვირთბრუნვის მიზნით ცხინვალის მიმართულების გზის გამოყენებაზე საუბრობს.

ვახტანგაშვილმა, პარლამენტის ოთხი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე, სადაც რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელს ზურაბ აბაშიძეს მოუსმინეს, ტვირთბრუნვისათვის ცხინვალის გზის გამოყენების საკითხზე მას შემდეგ გაამახვილა ყურადღება, რაც ლარსზე მეწყერის ჩამოწოლის შედეგად წარმოქმნილ პრობლემებზე ისაუბრეს.

„ლარსთან დაკავშირებით ბრძანეთ, რომ ტვირთების გადაზიდვა გარკვეულ პრობლემებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. მდგრადობის თვალსაზრისით ეს გზა საიმედო არ არის და ზაფხულის პერიოდში ორჯერ დაზიანდა. ხომ არ იქნებოდა საინტერესო ჩვენთვის და რუსეთის მხარისთვის, ნაცვლად იმ 500-მილიონიანი გვირაბების აგებისა, გამოვიყენოთ ცხინვალის მიმართულების გზა, რომელიც კონფლიქტამდე საკმაოდ აპრობირებული იყო. ამ შემთხვევაში დაინტერესება ექნებოდათ არა მხოლოდ ქართველ გადამზიდავებს, თუკი ლარსი თავისი მდგრადობით გამორჩეული არ არის, განსაკუთრებით – სომხეთს. ხომ არ გვეფიქრა ამ მიმართულებით – ეს მართლა საინტერესო იქნებოდა. ჩვენთვის ნამდვილად საინტერესო იქნებოდა“, – განაცხადა ვახტანგაშვილმა.

დეპუტატის პასუხად ზურაბ აბაშიძემ განმარტა, რომ შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ამგვარი გადაწყვეტილების მიღება საოკუპაციო ხაზის ლეგალიზებას ნიშნავს.

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთი-საქართველო: აქვს კი აზრი კონტაქტებს უმაღლეს დონეზე?

## რუსეთის პრეზიდენტმა გამოთქვა მზადყოფნა, შეხვდეს საქართველოს ხელმძღვანელობას

**რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მზადაა, შეხვდეს საქართველოს ხელმძღვანელობის წარმომადგენელს, თუ თბილისი თავის დაინტერესებას გამოხატავს. ამის შესახებ 21 ოქტომბერს განაცხადა რუსეთის პრეზიდენტის პრეს-მდივანმა დმიტრი პესკოვმა.**

**„ჩვენ ველოდებით კონკრეტულ სიგნალს თბილისიდან. თქვენი მხრიდან უნდა იყოს შესაბამისი პოლიტიკური ნება... პუტინმა გასაგებად განაცხადა, რომ, თუ მიიღებს სიგნალს საქართველოს მხრიდან, შეხვედრა გაიმართება“,** — განაცხადა პესკოვმა საქართველოს ტელეკომპანია „იმედთან“ ინტერვიუში.

ადრე საქართველოს პრეზიდენტის ყოფილმა მრჩეველმა ვანო მაჭავარიანმა საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ადმინისტრაციაში თავის დროზე მზადდებოდა შეხვედრა უმაღლეს დონეზე, მაგრამ, მისი სიტყვებით, იგი არ გაიმართა საქართველოს მთავრობის მხრიდან მხარდაჭერის უქონლობის გამო.

ვანო მაჭავარიანმა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის განცხადების თანახმად, არის მისი ბავშვობის მეგობარი, აგრეთვე ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის ძმა, ზაფხულში დატოვა პრეზიდენტის მრჩევლის პოსტი. მანამდე, მარტში, საქართველოს ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი გამოვიდა კრიტიკით ვანო მაჭავარიანის მისამართით, მას უწოდა ერთ-ერთი მიზეზი,



რომლის თანახმადაც მას გაუჩნდა აზრთა სხვადასხვაობა საქართველოს პრეზიდენტთან. **„მე დიდხანს ვდავობდი ამ თემაზე, მაგრამ უშედეგოდ“,** — თქვა მაშინ ყოფილმა პრემიერმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოვიდა მაჭავარიანის სიტყვების უარყოფით, განაცხადა, რომ მუშაობა პრეზიდენტების შეხვედრების მომზადებისათვის არ ყოფილა არც ერთ ეტაპზე.

**„შეხვედრები იგეგმება და ხორციელდება დიპლომატიური არხების მეშვეობით. ჩვენ არ გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობანი რუსეთთან. არც ერთი ნოტა, არც ერთი საინფორმაციო სიგნალი ან ქაღალდი საგარეო საქმეთა სამინისტროდან არ გაგზავნილა რუსეთში შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით, ასე რომ ჩემთვის უცნობია, როგორი ტიპის შეხვედრაზეა საუბარი. გარკვეული საუბარი ამის შესახებ იყო მას შემდეგ, რაც ჟურნალისტი შეეკითხა რუსეთის პრეზიდენტს შესაძლო შეხვედრის შესახებ. ამის იქით საქმე აღარ წასულა“** — განუცხადა ჟურნალისტებს 21 ოქტომბერს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მოადგილემ დავით ზალკალიანმა.

თავის მხრივ, საქართველოს პრემიერის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთის ფედერაციასთან კავშირურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ თბილისი მხარს უჭერს შეხვედრის გამართვას უმაღლეს დონეზე, მაგრამ, მისი სიტყვებით, „სიტუაცია უნდა მომწიფდეს“ იმისათვის, რომ ეს შეხვედრა „იყოს წარმატებული და ხელი შეუწყოს ნდობის აღდგენას და ურთიერთობათა მოწესრიგებას ორ ქვეყანას შორის“.

თავად გიორგი მარგველაშვილმა, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იაპონიაში იმყოფება, ამასთან დაკავშირებით კომენტარებს არ აკეთებს, მისმა ადმინისტრაციამ კი 21 ოქტომბერს განაცხადა შემდეგი :

**„ეს თემა იყო აბსოლუტურად ღია და გამჭვირვალე იმ დროს როდესაც პრეზიდენტის მრჩეველი ვანო მაჭავარიანი იყო. მაშინ გაკეთდა შესაბამისი განცხადებები. ეს არაა ახალი თემა. დამატებით კომენტარებს ამასთან დაკავშირებით ჩვენ არ ვაკეთებთ“.**

## წინაისტორია

**შეგახსენებთ, რომ 10 თებერვალს ვლადიმერ პუტინმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მზადაა, შეხვდეს საქართველოს პრეზიდენტს იმ შემთხვევაში, თუ მას ასეთი სურვილი ექნება. ამის პასუხად გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ, თუ რუსეთის პრეზიდენტს განზრახული აქვს, განიხილოს მასთან „პრობლემური თემები“, რომლებიც არსებობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში, იგი მზადაა, „მოაწყოს კონსულტაციები“. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ასევე გამოთქვა მაშინ მზადყოფნა, შეხვდეს რუსეთის პრეზიდენტს.**

მოგვიანებით, აპრილში გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა: იმისთვის, რომ ეს შეხვედრა გაიმართოს, საჭირო იქნება დრო და „შესაბამისი ვითარება“. საქართველოს პრეზიდენტის სიტყვებით, რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება უმაღლეს დონეზე უნდა შეეხოს „ყველაზე მნიშვნელოვან, აქტუალურ და რთულ საკითხებს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში“, და რომ შეხვედრის გამართვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან მხოლოდ იმ ფაქტის გულისთვის რომ იგი გაიმართა, „უბრალოდ უაზროა“. ამასთან ერთად მან აღნიშნა, რომ მზადება შეხვედრისთვის ჯერჯერობით არ წარმოებს, თუმცა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაინტერესებულია ვლადიმერ პუტინთან შეხვედრით იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის მხარე გამოთქვამს მზადყოფნას, განვიხილოთ „მტკივნეული თემები“.

## „შეხვედრა შეხვედრისთვის“

**ანალიტიკოსები საქართველოში მიიჩნევენ, რომ ამ ეტაპზე საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა მიზანშეწონილი არაა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებით უკანასკნელ მოვლენებს ორი ქვეყნის ურთიერთობებში, რის შედეგადაც ორივე მხრიდან გაისმა მწვავე კრიტიკის გაცვლა-გამოცვლა. საკითხი შეეხება რუსეთის მიერ დამუშავებულ პროექტს აფხაზეთთან მოკავშირეობის შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტმა თავის სხდომაზე შეაფასა როგორც „ოკუპირებული აფხაზეთის ანექსიის მცდელობა“. თავის მხრივ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 20 ოქტომბერს განაცხადა, რომ „საქართველოს მხრიდან მსჯელობა აფხაზეთის თითქოსდა ანექსიის შესახებ ეს არის არაკეთილსინდისიერი და საშიში სპეკულაცია“.**

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტმა ასევე არაერთგვარი რეაქცია გამოიწვია სოხუმში. მასში არსებული კომპონენტები თავდაცვისა და უშიშროების ახალი სივრცის ჩამოყალიბების, ურთიერთობის შესახებ საგარეო პოლიტიკასა და სოციალურ სფეროში, მიიღო მხარდაჭერა აფხაზეთის ყველა პოლიტიკური ძალის მხრიდან.

ამასთან ერთად, აფხაზეთის პოლიტიკოსების ნაწილმა განაცხადა, რომ შემოთავაზებული პროექტის გარკვეული პუნქტები საფრთხეს უქმნის აფხაზეთის დამოუკიდებლობას და ვნებს მის სუვერენიტეტს. შედეგად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი აფხაზი დეპუტატებისაგან, რომელიც, აფხაზეთის პარლამენტმის პრეს-სამსახურის ინფორმაციით, შეუდგა ხელშეკრულების ახალი პროექტის დამუშავებას.

საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ფონდის ხელმძღვანელი პროფესორი ალექსანდრე რონდელი ვერ ხედავს აზრს პრეზიდენტების შეხვედრაში, ვინაიდან, მისი სიტყვებით, უნდა იყოს სერიოზული ძვრები იმისათვის, რომ ასეთი შეხვედრა შედეგიანი აღმოჩნდეს.

**„დღემდე ჩვენ ვერ ვხედავთ ვერანაირ პოზიტიურ ნაბიჯებს რუსეთის მხრიდან, იგი აგრძელებს საქართველოს ტერიტორიების ოკუპირებას და არ აპირებს მის შეწყვეტას, პირიქით, ემზადება სრულმასშტაბიანი ანექსიისათვის“,** — აღნიშნა ექსპერტმა ჩვენთან კომენტარებში.

უშიშროებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხების შესწავლის საქართველოს ცენტრის ხელმძღვანელი ნიკა ჩიტაძე ანალოგიური აზრისაა. პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ პუტინისა და მარგველაშვილის შეხვედრა არ უნდა გაიმართოს კრემლის პოზიციის გათვალისწინებით, რომელმაც უარი განაცხადა, პატივი სცეს საერთაშორისო სამართალს.

შესაბამისად, ამტკიცებს ჩიტაძე ამ შეხვედრას არ შეუძლია მოუტანოს საქართველოს პოზიტიური შედეგები. ასეთი შეხვედრის შედეგად ამბობს ექსპერტი, „მოიგებს რუსეთი“, რომელიც, შეძლებს, შექმნას საერთაშორისო გაერთიანების წინაშე იმის ილუზია, რომ მოსკოვი დაინტერესებულია დიალოგით და ისწრაფვის თბილისთან ურთიერთობის ნორმალიზაციისაკენ.

**„2008 წლის აგვისტომდე გაიმართა რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების რამდენიმე შეხვედრა. ამ დროს უკანასკნელი იყო შეხვედრა მედვედევსა და სააკაშვილს შორის, რომელიც დსთ-ს სამიტის დროს გაიმართა ასტანაში, ერთი თვით ადრე რუსეთის სამხედრო აგრესიისა საქართველოს წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ამას შედეგი არ მოჰყოლია. ამ ეტაპზე ვერ ვხედავ ურთიერთობათა გაუმჯობესების პერსპექტივას, მაშასადამე, ვერ ვხედავ აზრს ამ შეხვედრაში შეხვედრის გულისთვის“,** — თქვა ნიკა ჩიტაძემ ჩვენთან ინტერვიუში.

Voice of America

# დედამიწის ზურგზე



### ლუკაშენკოს და მედვედევის მინსკში შეხვედრამ აჩვენა, რომ სამოკავშირეო სახელმწიფო ცოცხალია

აღსანიშნავია, რომ, მართალია რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა დაგვარწმუნა, რომ სადავო საკითხები ორ ქვეყანას შორის არ არის, თუმცა როგორც ჩანს, ეს შეხვედრა ისევ არ მომხდარა პუტინის ჩაურევლად, აღნიშნავენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. როდესაც მედვედევი უკვე სტუმრად იყო ლუკაშენკოსთან, კრემლის ოფიციალურმა საიტმა გაავრცელა ინფორმაცია რუსეთის პრეზიდენტის ბელარუს კოლეგასთან ტელეფონით საუბრის შესახებ.

### ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰელოუინზე ჰყიდიან ებოლას ციებ-ცხელებისაგან დაცვის კოსტიუმს

ტანსაცმელი, რომელშიც ყველა მსურველს შეუძლია წავიდეს საღამოს შეხვედრაზე 31 ოქტომბერს, ღირს 79,99 დოლარი. კოსტიუმი შედგება თავის დამფარავი რესპირატორიანი ნიღბის, თეთრი კომბინეზონისა და ცისფერი ხელთათმანებისაგან. ამავე დროს საიტზე გვაფრთხილებენ, რომ ეს კომპლექტი არ არის ხელსაყრელი ებოლასაგან რეალური დაცვისათვის.

### ნობელის მშვიდობის პრემიის ყველაზე ახალგაზრდა ლაურეატი კანადის საპატიო მოქალაქე გახდება

მალალა იუსუფზაი, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ მიიღო მშვიდობის ნობელის პრემია თავისი მიღწევებისათვის ბავშვთა უფლებების დაცვისათვის ბრძოლაში, აღმოჩნდება ერთ კამპანიაში ისეთ სახელგანთქმულ ლაურეატებთან როგორებიც არიან ნელსონ მანდელა, აუნ სან სუ ჯი და დალაი-ლამა.



### „გაზპრომს“ არ აქვს განზრახვა, მიჰყიდოს უკრაინას გაზი ევროპელი შუამავლის მეშვეობით, გარდა ამისა ურთიერთჩარიცხვაც არ იქნება

რუსეთის მხარემ უარყო ორივე წინადადება უკრაინისათვის გაზის მიწოდების შესახებ შუამავლის მეშვეობით და „გაზპრომისათვის“ გადასახადების დაანგარიშებით ევროპაში გაზის ტრანზიტისათვის მიწოდების განაღდების ანგარიშზე. ძნელია გაიგო „გაზპრომის“ მოტივაცია, დაიჩივლა უკრაინელმა მინისტრმა პროდანმა. „თუ იღებთ ხორცს ხორცის მაღაზიაში და ნახევარი წლის განმავლობაში მასზე ფულს არ იხდი, რასაკვირველია, შეიძლება გაჩნდეს შეკითხვები“, უპასუხა ეტინგემა.



ეგრისობის ზეიმი

# ერთად ყოფნის სურვილი...

**მადლობა უფალს, 26 წლის შემდეგ, აღსდგა სახალხო დღესასწაული ეგრისობა. საქართველოს ყოველ კუთხეს საკუთარი სიდიადე და ბრწყინვალება მოსავს. სწორედ ეს მრავალმხრივი სიდიადე უხსოვარი დროიდან ადუღაბებდა ქართველ ერს და ურიცხვ მტერთა თარეშისა და ძნელბედობის მიუხედავად გაუტეხელი დარჩა მათი ერთგულება და სარწმუნოებრივი ერთობა. ქრისტეს შობამდე და შემდგომ,შვიდი საუკუნის განმავლობაში ეგრისი (ლაზიკა) წარმოადგენდა სრულფასოვან სამეფოს, რომელიც დასავლეთ საქართველოში ქმნიდა კულტურულ და ეკონომიკურ პოლიტიკას. მას ჰქონდა საგარეო და სამხედრო კავშირი უდიდეს ირანისა და ბიზანტიის იმპერიებთან, სისტემატურად ეპაექრებოდა მათ და სხვა მეზობელ სამეფოებთან ურთიერთობაში ინარჩუნებდა საკუთარ განუმეორებელ კოლორიტსა და თვითმყოფადობას.**

როცა აღმოსავლეთ საქართველოში დაწინაურდა მცხეთა და ფეხს იკიდებს იბერიის სამეფო, დასავლეთ საქართველოში მძლავრობდა ეგრისი. ეს თანხვედრა კარგად გამოიყენა ფარნავაზმა და მტერზე გასამარჯვებლად გამოიყენა ქუჯის თანადგომა . საკუთარი და მიათხოვა მას, მიიღო მისგან საჭირო დახმარება და საფუძველი ჩაეყარა ერთიან ქართულ სახელმწიფოს. და ის ბალავარი, რომელსაც ქუჯიმ და ფარნავაზმა მტკიცე საფუძველი მისცეს, შემდგომ არასდროს დარღვეულა. ამის მაგალითია ვახტანგ გორგასლის, გურგენ მეფისა და სხვათა ძნელბედობის ჟამს ეგრისში გახიზვნა და თანადგომის მიღება. იყო პირიქითაც.

სახალხო ზეიმი ეგრისის მთავარ ქალაქ „ციხე - გოჯის" აკრეოპოლისში გაიმართა. სამგალავნიანი ყოფილი ციხე- ქალაქი სტუმრებს ვერ იტევდა , სამეგრელოს ყველა რაიონმა წარმოადგინა საკუთარი კუთხე, რომელსაც ამშვენებდა შემოდგომის ნობათი. ხელნაკეთობები. ხალხური რეწვის ნიმუშები. სამეგრელოში მოღვაწე მხატვართა ნამუშევრები. ლაღად ისმოდა ფოლკლორული ანსამბლების მიერ შესრულებული ხმატკბილი მეგრული ჰანგები.

ათასობით მოსული სტუმარი მოწმე გახდა ჭადრაკში, ჭიდაობასა და ცეკვაში ახალგაზრდების შეჯიბრებისა. ზეიმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა. რომელმაც ბრძანა, რომ ეს არ არის ერთი კუთხის ზეიმი, არამედ ეს არის ქართველთა ერთად ყოფნის სურვილი. რომელსაც საფუძველი ჩვენმა ბრძენმა წინაპრებმა, ფარნავაზმა და ქუჯიმ ჩაუყარეს. ნიჭიერი ერი განვითარდება და გაძლიერდება. ამის საფუძველს გვაძლევს ბევრი რამ , მათ შორის საწარმოების გახსნა და ის ბუნებრივი რესურსი, რაც ტურიზმის განვითარების პოტენციალი გვაძლევს . მოსახლეობას მისცა პირობა, რომ ეგრისობა გაიმართება ყოველწლიურად და იგი უფრო და უფრო დიდ მასშტაბს მიიღებს.

მსახიობებმა გააცოცხლეს უძველესი ისტორიული კადრები, ფარნავაზისა და ქუჯის შეყრის სცენა. რაც შთამბეჭდავი და უმთავრესი შტრიხი იყო საქართველოს ერთიანობისა. იმპროვიზირებულ ჩვენებაში მონაწილეობდნენ შემოქმედებითი კოლექტივები სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტებიდან .



ზეიმზე ლექსები წაიკითხეს მსახიობებმა მურმან ჯინორიამ და დიმა ჯაიანმა. საკუთარი ხელოვნება წარმოადგინეს ჯგუფმა შავფაროსნებმა და სენაკისა და ჩხოროწყუს ცეკვის ანსამბლებმა.

ზეიმის ბოლოს აირჩიეს სენაკის საპატიო ადამიანები: ცნობილი მხატვარი რეზო ადამია., სენაკის საკრებულოს წევრი დამირ კუჭავა, ექიმი პაატა ქურდოვანიძე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე დავით ლომიტაშვილი და ქართულ-ებრაული ცენტრის ერთ-ერთი დამაარსებელი მწერალი ლილი გაგულაშვილი.

**ბორის დავითაია.**

ესეც შენი ევროპა!

# სექსუალური „საკონცენტრაციო ბანაკი"

**გერმანიაში 38 წლის ოიგენ მარტენსი ციხეში იმის გამო იჯდა, რომ მისმა 10 წლის ქალიშვილმა მელიტამ უარი განაცხადა, სკოლაში დაესწროს გაკვეთილებს „ამის შესახებ".**

„ამის შესახებ" ნიშნავს იმას, რომ ასეთ მეცადინეობებზე ბავშვებს უჩვენებენ სხვადასხვა ზომის სასქესო ორგანოებს, აძლევენ საშინაო დავალებას აღწერონ, თუ რა არის ორგაზმი და მიუთითონ, სად არის ეროგენული ზონები.




ამ ცოტა ხნის წინათ კი (მიმდინარე წლის 11 სექტემბერს) გერმანიის ხელისუფლებამ დაადგინა, რომ ოიგენის ცოლი ლუიზაც უნდა იჯდეს ციხეში. სასამართლო არ შეაჩერა იმან, რომ ლუიზა ზრდის თოთო ბავშვს: მისი უმცროსი შვილი 7 თვისაა. სულ ოჯახში 9 ბავშვია. პოლიციას აქვს უფლება აიყვანოს ლუიზა სახლიდან ნებისმიერ მომენტში. თუ ოიგენი ცოლის დაპატიმრების მომენტში სამუშაოდ იქნება, პოლიცია ბავშვებს წაიყვანს თავშესაფარში.

„ჩვენ არ ვიცით, როგორი რეაგირება მოვახდინოთ ამ აბსურდზე, — ამბობს ოიგენ მარტენსი. ის და მისი ცოლი რუსეთელი გერმანელები არიან. ორივე ჩავიდა გერმანიაში მეოთხედი საუკუნის წინათ მშობლებთან ერთად როდესაც 14 წლის მოზარდები იყვნენ. — როდესაც ჩვენი უფროსი ვაჟიშვილი სკოლაში გადაეყარა სექსუალრი განათლების გაკვეთილებს, ჩვენ შევნიშნეთ, რომ მას გაუჩნდა პრობლემები ძილთან დაკავშირებით. მეზობელ ქალაქში ბავშვები ასეთ გაკვეთილზე ცუდად გახდნენ სქესობრივი აქტის ტექნოლოგიის წვრილმანების შემდეგ, 6 საავადმყოფოშიც კი წაიყვანეს. ამიტომ სექსუალური კურსის დაწყების წინ 10 წლის მელიტას ჩვენ ვუთხარით: შენი გადასაწყვეტია, გინდა წადი, გინდა ნუ წახვალ. ჩვენ კი მიგვაჩნდა, რომ ვცხოვრობთ დემოკრატიულ ქვეყანაში, სადაც არის არჩევანის თავისუფლება, მაგრამ მწარედ შევცდით. როდესაც გავიგეთ, რომ მელიტამ უარი განაცხადა, დაესწროს გაკვეთილებს, დირექტორმა ჯერ ტირილამდე მიიყვანა ჩვენი ქალიშვილი, შემდეგ ძალით შეეცადა მის შეყვანას კლასში. მელიტა წინააღმდეგობას უწევდა. შემდეგ იგი მასწავლებელთა ოთახში დასვეს. შემდგომ სექსუალურ გაკვეთილზე იგი კვლავ არ წავიდა. სკოლამ ჩვენზე თავის სამინისტროში გაგზავნა ქაღალდები. ჩემ ცოლსა და მე ჯარიმა მოგვისაჯეს. ამ ქაღალდებში ჩვენზე საუბარი იყო, როგორც „მშობელი №1" და „მშობელი №2", ვინაიდან გერმანულ კანონმდებლობაში ამოიღეს ცნებები „მამა" და „დედა" — აქ ნებადართულია ქორწინება გეებსა და ლესბოსელებს შორის. მათ შეუძლიათ იშვილონ ბავშვები.

ჯარიმა დიდი არაა, მაგრამ სიმბოლურია — 30 ევრო ჩემგან და 30 ევრო ცოლისაგან. მე 30 ვერცხლად, როგორც იუდას, უნდა გამეყიდა ჩემი ქალიშვილი. ეს პრინციპის საქმე იყო და არა ფულისა. და მე არ გადამიხდია. მე ერთი დღე-ღამის განმავლობაში ჩამსვეს ცალკე კამერაში. როდესაც ციხიდან გამოვდიოდი, შემხვდნენ თანამოაზრეები, რომლებიც ასევე წინააღმდეგი არიან სექსუალური განათლებისა პატარა ბავშვებისათვის. ისინი მოვიდნენ თავიანთ ბავშვებთან ერთად, რომლებსაც ხელში ეჭირათ პლაკატები „ჩვენ გვინდა არა სექსი, არამედ მშობლების სიყვარული!".

ჩემმა ჯდომამ ციხეში სულაც არ ამოწურა კონფლიქტი — ამრიგად მე ვუპასუხე მხოლოდ ჯარიმის გადაუხდელობით. თუმცა, თავად საქმე არ დახურულა.

**მარია პოზდნიაკოვა.**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

სიბრძნის კიდობანი

# რას გვირჩევენ გენიოსები

### დალაი ლამა –

თუ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია, მაშინ ნერვიულობა არ ღირს. თუ პრობლემა ვერ მოგვარდება, მაშინ ნერვიულობას აზრი არ აქვს.

### მარკ ტვენი –

იღბალი ერთხელ კარზე ყველას უკაკუნებს, თუმცა, ამ დროს ადამიანები უმეტესად უახლოეს ლუდის ბარში სხედან და კაკუნის ხმა არ ესმით.

### დეილ კარნეგი –

პირადად მე ძალიან მიყვარს მარწყვი ნაღებით, თუმცა, თევზი რატომღაც მატლებს ანიჭებს უპირატესობას. სწორედ ამიტომ, როცა სათევზაოდ მივდივარ, არ ვფიქრობ იმაზე, რა მიყვარს მე, ვფიქრობ, რა უყვარს თევზს.

### პითაგორა –

დილით ჰკითხეთ საკუთარ თავს: „რა უნდა გავაკეთო". საღამოს კი: „რა გავაკეთე?"

### რობერტ კიოსაკი –

უბედური, წარუმატებელი, საწყალი და არაჯანმრთელი ისაა, ვინც ხშირად ამბობს სიტყვას „ხვალ".

### ჰენრი ფორდი –

მოხუცები ხშირად ურჩევენ ახალგაზრდებს, ეკონომიურად ხარჯონ ფული — ეს ცუდი რჩევაა. არ დააგროვოთ — საკუთარ თავში ჩადეთ. 40 წლამდე დოლარიც არ შემინახავს;

წარუმატებლობა — მხოლოდ თავიდან დაწყების შანსია, თუმცა უფრო ჭკვიანურად დაწყებისა;

მე მინდა. ე. ი. — იქნება.

### ჯერალდ ლეტო –

გააკეთე დღეს ის, რისი გაკეთებაც სხვებს არ უნდათ. ხვალ კი იცხოვრებ ისე, როგორც სხვებს არ შეუძლიათ.

### კოკო შანელი –

იმისთვის, რომ მიიღო ის, რაც არასოდეს გქონია, უნდა გააკეთო ის, რაც არასოდეს გაგიკეთებია.

### ლაო-ძი –

არავინ იცის, მომავალში რა მოხდება. ყოველი ახალი ურთიერთობა და წამოწყებული საქმე გარკვეულ რისკ-ფაქტორს შეიცავს. მიუხედავად ამისა, ალბათ, იმაშიც ყველა დამეთანხმებით, რომ შეუძლებელია წარმატების მიღწევა პირველი ნაბიჯის გადადგმის, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების, გამოწვევის მიღებისა და გაბედული ქმედების გარეშე. ნაბიჯები ხომ გამოცდილებებია, რომელთა წყალობითაც ვიზრდებით, ვვითარდებით და წინ მივდივართ. და თუ ასეა, ნუ შეგეშინდებათ რისკის გაწევის, გადადგით პირველი ნაბიჯი - დაიწყეთ „მოგზაურობა"!

დაეხმარეთ, მაგრამ ჭკვიანურად!

მიეცით კაცს თევზი და მას ერთი დღით დააპურებთ. ასწავლეთ თევზის დაჭერა, თქვენ მას მთელი ცხოვრების მანძილზე გამოკვებავთ.

შეიძლება, გულწრფელად გსურთ, რომ თქვენს საყვარელ ადამიანებს, მეგობრებს, შვილებს, ოჯახის წევრებს „დათვური სამსახური" გაუწიოთ, თუმცა, თუ რეალობას თვალს გავუსწორებთ, ამის კეთება მუდმივად შეუძლებელია. დაუსვით თქვენს თავს კითხვა: როგორ მუშაობს ის მეთოდები, რომელთა საშუალებითაც ადამიანებს ეხმარებით? რა მოხდება მომავალში, როცა ისინი იმავე პრობლემის წინაშე დადგებიან?!

ნუ იქნებით სხვაზე დამოკიდებული!

ყველა ადამიანს საკუთარი უნიკალური აზრი აქვს. მათი ცხოვრება ჩვენ არ გვეხება, ისევე როგორც არ ეხებათ ჩვენი მათ. ნუ დაკარგავთ იმაზე ფიქრში დროს, თუ რას ფიქრობენ სხვები თქვენზე. უსმინეთ მხოლოდ საკუთარი სინდისის, გულისა და გონების ხმას, ნუ გადაუხვევთ თქვენს მორალურ პრინციპებს და მალე აღმოაჩენთ, რომ სხვისი აზრი თქვენს შესახებ ნაკლებად მნიშვნელოვანია, როცა თავის უფალი ხართ!

იყავით მადლიერი იმისა, რაც მოგეცათ, მიიღეთ საგნები ისეთები, როგორებიც არიან. როდესაც აანალიზებთ, რომ არაფერი გაკლიათ — მთელი სამყარო თქვენ გეკუთვნით.

დაფიქრდით: არსებობს კი ადამიანი, რომელიც გაცვლიდა ყველაფერს, რაც აქვს, იმ ყველაფერში, რაც არ აქვს?! მადლიერება უდიდესი პოზიტიური ძალაა, რომელსაც შეუძლია, ჩვენი ყოველი დღე უკეთესობისკენ შეცვალოს.

**თაკო საკანდელია.**

წყარო - sainetersо.com; 4motivi.com

ფარიკაობა

# თვალიც უჭრის და რაპირაც

**ეს მოხდა 51 წლის წინათ — 20 წლის ნიკოლოზ ანდრიაძემ ბელგიის ქალაქ გენტში ახალგაზრდებს შორის რაპირით ფარიკაობაში მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ცნობილი ქართველი პოეტის — ტიციან ტაბიძის ბუთხუზა შვილიშვილი (ნიტა ტაბიძის ვაჟი) წონის დასაკლებად მშობლებმა მაშინდელ პიონერთა სასახლეში, ერთ-ერთი მეგობრის რჩევით, ფარიკაობის სექციაში ანტონ ფიოდოროვთან მიიყვანეს. მერე და მერე, რაპირას რომ გაუშინაურდა, კვარცხლბეკისკენაც გაუწია გულმა.**




მამა და ბაბუა ექიმები იყვნენ და მანაც მათი გზა აირჩია — 1960 წელს სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა. იმ წელიწადსვე ტრიფონ მესხთან გადავიდა სავარჯიშოდ და წარმატებებმაც იმატა. 1961 წლიდან ზედიზედ სამჯერ ახალგაზრდებში საკავშირო პირველობა მოიგო, ხოლო 1962 წელს ქაიროში მსოფლიოს პირველობაზე მომავალ ფრანგ ჩემპიონ კურტიესთან მარცხის შემდეგ მე-5 ადგილზე გავიდა. მომდევნო წელს გენტში მსგავსი შეჯიბრების ფინალური ოთხეულის პირველი პაექრობა ქართველმა მუშკეტერმა სწორედ ფრანგს მოუგო — 5:1, შემდეგ ერთნაირი ანგარიშით — 5:3 აჯობა რუმინელ დრიმბას, ავსტრიელ ლოზერტის და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

აქტიურ სპორტს თავი რომ დაანება, მედიცინაში ჩაეფლო: ჯერ საკანდიდატო, შემდეგ სადოქტორო დისერტაციები დაიცვა, თუმცა ფარიკაობისთვისაც არ უქცევია ზურგი. განსაკუთრებით ბოლო წლებში აქტიურად გამოდის ვეტერანთა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში (ცნობილი მწვრთნელი ლუდვიგ ღაღანიძე ავარჯიშებს). შარშან კონტინენტის პირველობაზე რაპირით ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, ერთი თვის წინათ კი მედიცინის მუშაკთა ევროპის პირველობა მოიგო. და აი, ახალი წარმატება — უნგრეთის ქალაქ დებრეცენში გამართულ ვეტერან რაპირისტთა მსოფლიო პირველობაზე ჯგუფში იოლად დაჯაბნა მეტოქეები, პლეი ოფში გზიდან ჩამოიცილა იტალიელი, ფრანგი და გერმანელი მუშკეტერები, ნახევარფინალში ვეტერანთა შორის შვიდგზის მსოფლიოს ჩემპიონ გარი ავთანდილოვთან დამარცხდა და მესამე ადგილზე გავიდა.

**ლექსო ცინცაძე**

კრივი

# სამი ქართველი მეოთხედფინალშია

**19-წლამდელ მოკრივეთა ევროპის პირველობაში, რომელსაც ხორვატეთის დედაქალაქი ზაგრები მასპინძლობს, 41 ქვეყნის 233 წარმომადგენელთან ერთად 6 ქართველიც ჩაება. სამი მათგანი მეოთხედფინალში იასპარეზებს. 60 კილოგრამი წონითი კატეგორიის სტარტზე ლაშა გურულმა მესამე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით მოუგო ჟუსტინ ჯოვანი კრემერს (ჰოლანდია). მერე უნგრელი რიჩარდ კოვაჩი ჩამოიშორა გზიდან და მეოთხედფინალში ლუკაშ დეკუშს (ჩეხეთი) შეხვდება.**



ახალქალაქელი გაგიკ პოზოიანი (52) პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში ალბანელ კრენალ ზენელის აჯობა და სულ მცირე ბრინჯაოს მედლის მოსაპოვებლად აზერბაიჯანელ მასუდ იუსუფზადეს უნდა მოუგოს. 69 კილოში გიორგი ხარაბაძემ ზედიზედ სძლია უნგრელ ბერნარდ ბარშონისა და შვედ ოლივერ ფლოდინს. მეოთხედფინალში იგი რაჯაბ რაჯაბოვს (რუსეთი) დაუპირისპირდება.

56 კილოში უჩა მაისურაძემ სტარტზე მიხალკის იოანუს (კვიპროსი) კი მოუგო, მაგრამ მერე თავადაც დამარცხდა რუს აიტალ დიაკონოვთან. მის მსგავსად მაყურებლებში გადაინაცვლეს ნუკრი ადამიამ (64 კგ) და რატი ტლაშაძემ (75), რომლებმაც პაექრობები სერბ ფლორიან საბოსა და ლატვიელ არტიომს პანევიჩსთან დათმეს.

**გივი გაგუა**

პერსონა

# ჯანსაღ სხეულში – ჯანსაღი სული

**ჩვენი გაზეთის ძველ მეგობარს, საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა საერთაშორისო სპორტული ფედერაციის თავკაცს, პროფესორ კახა მარკოზაშვილს რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ შევეხმიანეთ, და, რომ იტყვიან, ათიანში გავარტყით.**

**თითქოს გულმა გიგრძნოთ, რომ სწორედ ახლა ვაპირებდი თქვენთან დაკავშირებას და ღირსეული ახალგაზრდა ქალიშვილის გაცნობასო — გაისმა პასუხი.**

**მართლაც, მეორე დღესვე რედაქციაში გვეწვია მომხიბვლელ ნათია ბლუაშვილთან ერთად.**

**სადარბაზო ბარათი**

**დაიბადა 1990 წლის 6 თებერვალს. დაამთავრა 24-ე საჯარო სკოლა და კავკასიის ბიზნეს-სკოლა. ნეკო-რიუ კარატეს წარმომადგენელი არის საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა საერთაშორისო სპორტული ფედერაციის საგარეო ურთიერთობათა და სპეციალურ პროექტთა მენეჯერი, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის შესყიდვების წამყვანი სპეციალისტი. ფლობს რამდენიმე უცხო ენას.**

**დასაოჯახებელია.**




**— ქალბატონი და კარატე, ცოტა არ იყოს, უცნაურია. მაინც, როდის „მოიწამლეთ“ ზოგადად, სპორტით და კონკრეტულად, კარატეთი?**

— სპორტული ჟინი ბავშვობიდანვე მქონდა — 8 წლის განმავლობაში დავდიოდი სამეჯლისო სპორტულ ცეკვებზე. გაცნობითი ხასიათის შეხება კარატესთან მაშინაც მქონდა. ამ დროს ხდება არა მარტო სპორტული, არამედ სულიერი აღზრდა, სწავლობ დისციპლინას ეს, ასე ვთქვათ, ანაბანა მაშინვე ავითვისე.

ბატონ კახასთან ყოველივე აღნიშნულს უფრო განვამტკიცებთ და განვავრცობთ, ვცდილობთ, რომ ყოველი ვარჯიში წინაზე უკეთესი იყოს ყველა კომპონენტში, რაც უკეთეს შედეგებს განაპირობებს.

**— თქვენს უშუალო მოვალეობათა შესახებ რას გვეტყვით?**

— ვაპირებთ შევიმუშაოთ სპეციალური სავარჯიშო სისტემა უპატრონო და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ჩაბმაზე ჩვენს ნეკო-რიუ კარატეს სტილში, უფრო სწორად ეს სამუშაო უკვე დაწყებული გვაქვს (სხვათა შორის, დასახელებული პროექტი ბატონმა კახამ 2003-2005 წლებში წარმატებით განახორციელა აღნიშნული პროფილის თელავის სკოლა-ინტერნატში). ჩვენი პროექტის უმთავრესი მიზანია ბავშვებს დაანახოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის გზები, რაც გაუჩენს უკეთესი მომავლის შექმნის სტიმულს.

რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვეუფლებით იაპონურ ენას, ეს კი გვეხმარება არა მარტო კარატეს, არამედ იაპონური კულტურის შესწავლაში. თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა მინდა გადავუხადო იაპონიის საელჩოს საქართველოში, პირადად ჩემს მასწავლებლებს ნიშიდა მასაიოს და ვახტანგ ჯანდიერს.

**— მოდით, კიდევ უფრო დავაკონკრეტოთ თქვენი ვარჯიშის თავისებურებანი.**

— ჩვენს ვარჯიშის სისტემას აქვს მოქნილი გრაფიკი მათთვის, ვინც დაკავებულია როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო სამსახურითა და ბიზნესით, ამიტომ ვარჯიშები ტარდება შაბათ-კვირაობით და ინდივიდუალურად. ამ პროექტის შთამბეჭდავად განხორციელებით უკვე დავამსხვრიეთ მითი, რომლის თანახმადაც კარატეში წარმატების მიღწევის საწინდარი ბავშვობიდან ჩართულობაა. მაგალითისთვის დაგისახელებთ ალექსანდრე კოხრეიძეს, რომელმაც ნეკო-რიუ კარატეს სისტემით ვარჯიში 21 წლის ასაკში ინვალიდის ცნობით დაიწყო (ბავშვობაში მიღებული მარცხენა ფეხის კუნთის ტრავმა) და 2 წელიწადში ეროვნული ჩემპიონატის პრიზიორი ყველაზე პრესტიჟულ-აბსოლუტურ წონით კატეგორიაში გახდა.

აღნიშნულ ფაქტს მსოფლიოს საბრძოლო ხელოვნებათა ისტორიაში ანალოგი არ მოეძებნება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ფეხბურთი

# დაუნდობელნი

**საფეხბურთო სამყარო ახლაც შოკშია იმ განკითხვის დღით, რომელიც წლევანდელ მუნდიალზე მომავალმა ტრიუმფატორმა გერმანიამ ფორუმის მასპინძელ ბრაზილიას მოუწყო — 7:1.**

და აი, გავიდა რამდენიმე თვე და ბუნდესნაკრების საბაზო კლუბმა მიუნხენის „ბაიერნმა“, ამჯერადაც სტუმრის რანგში, ანალოგიური შედეგით გააცამტვერა „სერია-ა“-ს ერთ-ერთი ლიდერი „რომა“, რომელიც ბრწყინვალედ გამოიყურება სეზონის სტარტზე და „ტიფოზებს“ მონატრებული აღზევების ილუზიებით არცთუ უსაფუძვლოდ კვებავს.

სხვისი არ ვიცი და მე ეს ფაქტები, უკვე მერამდენედ, მარწმუნებს ალემანთა უსაზღვრო პროფესიონალიზმსა და, რაც მთავარია, ფსიქოლოგიურ, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ სიმტკიცეში, რაც მსაჯის საფინალო სასტვენამდე წაქცეული მეტოქის დაუნდობლად ჩაწიხვლაში გამოიხატება.



ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის მესამე ტურის შემდეგ იგივე შეფასებას იმსახურებს დონეცკის „შახტარიც“, რომელიც ბელარუსში კიდევ უფრო უმოწყალოდ გაუსწორდა ბატეს — 7:0. და ეს მაშინ, როცა აღნიშნული შეხვედრით ქალაქ ბორისოვოში ახალი სტადიონი გაიხსნა და მეზობელთა მატჩის წინ ბევრნი მეგობრული ზავის გაფორმებას ელოდნენ.

შაბათისთვის დანიშნული ელ-კლასიკოს წინ კინაღამ კისერი წაიმტვრია „ბარსელონას“ ახალმა თავკაცმა ლუის ენრიკემ, რომელმაც 2:0-ზე ზედიზედ შეცვალა ნეიმარი, მესი და ინიესტა, წინ კი დაახლოებით ნახევარი სათამაშო ტაიმი იყო.

გასაგებია, რომ დიდი ბრძოლის წინ მან თავისი გუნდის ლიდერები დაასვენა, მაგრამ დაავიწყდა, რომ ამსტერდამის „აიაქსთან“ ხუმრობა გარკვეულ რისკს შეიცავდა. მართლაც, მალე ჰოლანდიიელებმა ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანეს და კატალონიელთა ქომაგები აანერვიულეს, თუმცა. საბოლოოდ ყველაფერი მაინც ლოგიკურად დასრულდა — 3:1.

საერთოდ, სამშაბათის საღამო შეგვიძლია შემტევი ფეხბურთის ზეიმად მოვნათლოთ, რადგან 8 შეხვედრაში 40 (!) გოლი გავიდა ანუ თითოში საშუალოდ — 5.

**დანარჩენი მატჩები ასე დასრულდა:** „შალკე“ — „სპორტინგი“ 4:3, ცსკა — „სიტი“ 2:2, „პორტუ“ — „ბილბაო“ 2:1, „აპოელი“ — „პარი სენ-ჟერმენი“ 0:1, „ჩელსი“ —„მარიბორი“ 6:0.

**გიორგი შოთაძე**

# „თბილისობის“ დღესასწაულს უცხოელი სტუმრები დაესწრებიან



**— ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ გუშინ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.**

**მისივე განცხადებით, უცხოელ სტუმრებთან ერთად თბილისში ასევე ჩამოვა ბრისტოლის მერი, რომელიც დედაქალაქში რამდენიმე დღე დარჩება. დავით ნარმანიას განცხადებით, ბრისტოლის მერი თბილისობის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას და სხვა საინტერესო საკითხებზე იქნება საუბარი. დავით ნარმანიას თქმით, „თბილისობა 2014“ ძალიან დატვირთული იქნება სხვადასხვა ღონისძიებებით.**

„25-26 ოქტომბერს ჩატარდება ტრადიციული ღონისძიებები რიყესა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, განსხვავება იქნება იმით, რომ მთელი ქალაქის მასშტაბით გაიშლება ღონისძიებები, ასევე გაკეთდება ადგილობრივი მნიშვნელობის ღონისძიებებიც. დაჯილდოვდებიან საპატიო თბილისელის წოდებით მოქალაქეები. უახლოეს დღეებში კომისია დაასრულებს მუშაობას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და გვექნება ზუსტი სია იმ ადამიანების, ვისაც ეს წოდება გადაეცემა. გარდა საპატიო თბილისელისა, ჩემი ინიციატივით შემოვიღეთ „თბილისზე მზრუნველის“ წოდება. არიან ადამიანები, რომლებსაც შესტკივათ დედაქალაქზე გული და აკეთებენ ბევრ რამეს უსასყიდლოდ. ასეთი ადამიანების შრომამ ფუჭად არ უნდა ჩაიაროს და ჩვენ 10-ზე მეტ ადამიანს მივანიჭებთ თბილისზე მზრუნველის წოდებას. ეს იქნება სხვა ადამიანებისთვის სამაგალითო, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

მისივე განცხადებით, თბილისობის ფარგლებში ასევე ჩატარდება ღვინის ფესტივალიც, დღეიდან კი სატელევიზიო ეთერში გავა რეკლამები, სადაც საზოგადოებას მიეწოდება ინფორმაცია დედაქალაქის რომელ რაიონში რა ღონისძიება იგეგმება.

„მოვუწოდებ თბილისელებს და ჩვენს თანამოქალაქეებს, რომ მიიღონ მონაწილეობა თბილისობაში. სტუმრები იქნებიან როგორც საქართველოდან, ასევე 30-ზე მეტი სტუმარი ჩამოვა ჩვენს დედაქალაქში „თბილისობის“ ღონისძიებაზე დასასწრებად“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეა“ და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიები იუწყებიან ამავე აკადემიების აკადემიკოსის

**ომარ ხუხუას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ვაჟა ეგრისელი ოჯახით იუწყება, რომ გარდაეცვალა უახლოესი მეგობარი, უიშვიათესი მოღვაწე და პატრიოტი ქართველი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ფოლკლორისტი და მკვლევარი

**ომარ ხუხუა**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტი თანაგრძნობას უცხადებს ამავე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროფესორ ნოდარ პავლიაშვილს ძმის

**რევაზ პავლიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობა, წევრები და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მხატვარი, ღვაწლმოსილი პედაგოგი, პროფესორი

**ცისია შანშიაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## გახსენება

# ავთო ორმოცაძე



ორმოცი დღის წინ ლანჩხუთის საზოგადოება, ახლობლები, ნათესავები, შესანიშნავი ოჯახი გამოემშვიდობა არაჩვეულებრივ მოქალაქეს, პედაგოგს **ავთო ორმოცაძეს**.

ქართული ქალთა ფეხბურთის ერთ-ერთი დამაარსებელი, გოგონათა საფეხბურთო კლუბი „გურია“ სწორედ მისი ინიციატივითა და რუდუნებით გავიდა ასპარეზზე. დღეს რამდენიმე მისი აღზრდილი ფეხბურთელი უცხოურ კლუბებში თამაშობს. ვინც შენს სამგლოვიარო პროცესიას დაესწრო, შეძრა, რა სიყვარული და ცრემლი გაგატანეს შენმა აღზრდილმა გოგონებმა. უეცარი და თავზარდამცემი იყო ამ შესანიშნავი, თავაზიანი და თავმდაბალი პიროვნების გარდაცვალება. გამოსამშვიდობებელი ნეკროლოგიც ვერ მოვასწარით. დღეს კი, როდესაც შენი სული მარადისობის მკვიდრია, მთელს საზოგადოებას გვინდა, ვამცნოთ, რომ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჩვენს საზოგადოებაში ასეთი კაცური კაცი.

ნათელში იყოს ავთო ორმოცაძის ხსოვნა.

**მეგობრები**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

## ინფორმაცია

### ამოღებულია დიდი ოდენობით ე.წ. ბიო

**შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მეშვიდე განყოფილების თანამშრომლებმა 1986 წელს დაბადებული არჩილ ა. დიდი ოდენობით ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.**

**სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 134,79 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას შეიცავს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.**

**გამოძიება დიდი ოდენობით ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260 მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილით მიმდინარეობს.**

### ქარსაცავი ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე

**ხეების დარგვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქუთაისში, ნიკეას ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე 400 ძირი ხე დაირგო.**

**აქციაში მონაწილეობას ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ხელისუფლების წარმომადგენლებიც იღებდნენ. კიპაროსისა და ვერხვის ხეები ქალაქში ქარსაცავი ზოლის ფუნქციასაც შეასრულებს.**

**„მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ დირექტორის გიორგი შუხოშვილის თქმით, ხეების დარგვა ხელს შეუწყობს ქალაქის გამწვანების პროცესს.**

## სამართალი

### ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმე დასრულდა

**ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზე ბაჩო ახალაიას 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ე.წ.ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზე ბაჩო ახალაიას, ლევან ქარდავას, გიორგი მაზმიშვილისა და მეგის ქარდავას მიმართ განაჩენი მოსამართლემ გუშინ გამოაცხადა.**

საქმეში ბრალდებულ ორ პირს, ლევან ქარდავას და გიორგი მაზმიშვილს ნავთლუღის სპეცოპერაციის ღამეს საკონტროლო გასროლით ახალგაზრდების მკვლელობა ედებათ ბრალად.

ბაჩო ახალაია და მეგის ქარდავა კი, ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმის ერთ-ერთ ეპიზოდში, რუსთავის №1 დაწესებულებაში პატიმრების ცემაში არიან ბრალდებული. კერძოდ, საუბარია იმ პატიმრების ცემაზე, რომლებიც, დაცვის მხარის მტკიცებით, სწორედ ნავთლუღში მოკლული პირების დახმარებით ციხიდან გაქცევას გეგმავდნენ.

გარდა ამისა, ამავე საქმესთან ერთად განიხილებოდა ბაჩო ახალაიასთან დაკავშირებული კიდევ ერთი ეპიზოდი — სანდრო გირგვლიანის საქმეზე ბრალდებული პირებისთვის ციხეში შეღავათიანი და განსაკუთრებული პირობების შექმნა.

თავად ბაჩო ახალაია პროცესს არ ესწრებოდა.

რაც შეეხება დანარჩენ ბრალდებულებს, ლევან ქარდავას, რომელსაც ბრალად განზრახ მკვლელობის მუხლი ჰქონდა წარდგენილი, 11 წლით პატიმრობა შეეფარდა. კიდევ ერთ ბრალდებულს გიორგი მაზმიშვილს კი, 11 წელი მიესაჯა.

ძებნილ მეგის ქარდავას მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილის გადაწყვეტილებით, თავისუფლების 7 წლითა და 6 თვით პატიმრობა შეეფარდა.

მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილმა რამდენიმეთვიანი საქმის განხილვა 17 ოქტომბერს დაასრულა.

## საინტერესოა

# დედამიწა ციფრებსა და ფაქტებში

**მზიდან მე-3 პლანეტა დედამიწაა. მზის სისტემის პლანეტებს შორის სიდიდით იგი მეხუთეა.**

დაახლოებით 4,54 მილიარდი წლის წინათ დედამიწა მზის ნისლოვანობისაგან წარმოიქმნა.

12 742 კილომეტრი — პლანეტის საშუალო დიამეტრია, 40 000 კილომეტრი — გარშემოწერილობა. დედამიწის ფორმა გაბრტყელებული ელიფსოიდია.

**დედამიწის ბრუნვის სიჩქარე ცის სფეროსთან დაკავშირებით იცვლება (აპრილსა და ნოემბრის დღე-ღამის ხანგრძლივობა ეტალონურისაგან 0,001 წამით განსხვავდება), დროის დიდ მასშტაბში კი — ნელდება. უკანასკნელი 2000 წლის განმავლობაში დედამიწის ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა ასწლეულში 0,0023 წამით იზრდებოდა.**



ცელსიუსით 6 000 გრადუსამდე იზრდება ტემპერატურა პლანეტის ცენტრში (უფრო მეტად, ვიდრე მზის ზედაპირზე).

დედამიწის ქერქის სისქე ოკეანის ქვეშ მერყეობს 6-დან 10 კილომეტრამდე და 30-70 კილომეტრამდე კონტინენტებზე.

პლანეტის ზედაპირი მუდმივად იცვლებოდა: კონტინენტები ჩნდებოდა და ინგრეოდა. ისინი გადაადგილდებოდა ზედაპირზე, ზოგჯერ იქცეოდა სუპერკონტინენტად. სუპერკონტინენტებიდან — პანგეა დაიშალა 180 მილიონი წლის წინათ.

**გრავიტაცია პლანეტაზე განთავსებულია არათანაბარზომიერად, ესე იგი ყველაზე მსუბუქად თქვენ შეგიძლიათ იგრძნოთ თავი ინდოეთის სამხრეთში, ყველაზე მძიმედ კი — წყნარი ოკეანის სამრეთ ნაწილში.**

ოკეანეები ამჟამად ფარავენ ჩვენი პლანეტის დაახლოებით 70 პროცენტს, თუმცა, ადამიანმა შეძლო შეესწავლა ამ სიმდიდრის მხოლოდ 5 პროცენტი.

მთელი წყლის 2,5 პროცენტი, რაც დედამიწაზეა, არის მტკნარი, დანარჩენი — მარილიანია. მტკნარი წყლის დაახლოებით 68,7 პროცენტი მყინვარებშია. მყინვარები რომ გადნენ, მსოფლიო ოკეანის დონე 800 მეტრით ამაღლდება.

**დედამიწის ზედაპირის 80 პროცენტზე მეტს ვულკანური წარმომავლობა აქვს.**

არის ვარაუდი, რომ ჩვენი პლანეტა თავდაპირველად იისფერი იყო. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ბაქტერიები გამოყოფდნენ სპეციალურ ნივთიერებებს, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ულტრაიისფერისგან დაცვა.

**დაახლოებით 1200 მილიონი წლის წინათ გაჩნდა პირველი წყალმცენარეები, ხერხემლიანი ცხოველები კი — დაახლოებით 525 მილიონი წლის წინათ.**

65 მილიონი წლის წინათ მოხდა ცხოველთა უკანასკნელი მასობრივი განადგურება, რაც, სავარაუდოდ, მეტეორიტის ჩამოვარდნამ გამოიწვია. მან მიგვიყვანა დინოზავრებისა და სხვა დიდი რეპტილიების გაქრობასთან, თუმცა, გვერდი აუარა მრავალ წვრილფეხა ძუძუმწოვრებსა და ფრინველებს.

## ინფორმაცია

### მიწისქვეშა გადასასვლელში სპეციალურ ლიფტებს ამონტაჟებენ

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და ხანდაზმულთათვის მიწისქვეშა გადასასვლელებში ლიფტები დამონტაჟდება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ დედაქალაქის მერიიდან აცნობეს, პირველ ეტაპზე ლიფტები დამონტაჟდება ორ მიწისქვეშა გადასასვლელში, რისთვისაც 150 000 ლარია გამოყოფილი. ლიფტის მშენებლობის სამუშაოები თითქმის დასრულებულია ოპერისა და ბალეტის თეატრთან არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელში. დარჩენილია მხოლოდ ელექტროგაყვანილობის სამუშაოები, რის შემდეგაც, ლიფტი ექსპლუატაციაში შევა.

მეორე ლიფტის დამონტაჟება ვაკის პარკის მიმდებარედ, თამარაშვილის ქუჩის მხრიდან არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელში იგეგმება, სადაც ერთ მხარეს უკვე დასრულდა მშენებლობის წინა მოსამზადებელი სამუშაოები და ლიფტის მონტაჟი უახლოეს პერიოდში დაიწყება.

### ფსიქიკურად დაავადებულისგან ქრთამად 1000 ლარი აიღო

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ქრთამის აღების ფაქტზე, შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ მესამე განყოფილების უფროსი დავით სარიშვილი დააკავა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ერთ-ერთ მოქალაქეს, მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი ავადმყოფის, ფსიქიატრიული საავადმყოფოს სტაციონარში ერთი წლით მოთავსების სანაცვლოდ, ქრთამის სახით გამოართვა 1 000 ლარი. გარდა ამისა, დაკავებულმა იმავე მოქალაქეს გამოართვა მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი ავადმყოფის საპენსიო ბარათი, რადგან შემდგომში ყოველთვიურად დაუფლებოდა ბარათზე დარიცხულ საპენსიო თანხას 100 ლარს.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით გრძელდება, რაც 6-დან 9 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

## მერაბ ბერძენიშვილის კარიკატურა



ეე... ზაქარ! სულ აქეთ-იქით რომ დადიხარ, გგონია, არა ზიხარ?!

## მცირე ენციკლოპედია

### ჩვეულებრივი გმირი

**სამი გატეხილი ნეკნით, გახეთქილი ღვიძლით და ფილტვებით, უმოქმედო თირკმლებით — ამ მდგომარეობაში მყოფმა ავტობუსის მძღოლმა უ ბინმა**





**ჩინეთის ქალაქ ხანჯოუში მანქანის გზის პირზე მიაყენა, ავარიული შუქნიშნები ჩართო, კარები გახსნა და მგზავრებს გარეთ გასვლა სთხოვა. ყველაფერ ამას მთლიანად 76 წამი დასჭირდა, რის შემდეგ მძღოლმა გრძნობა დაკარგა.**

მაისის მიწურულს უ ბინის ავტობუსი ქალაქ უსიდან ხანჯოუში მიდიოდა. გზატკეცილის ერთ-ერთ მონაკვეთზე ავტობუსი ჩქაროსნულ, ყველაზე მარცხენა რიგში მოძრაობდა. მოულოდნელად ავტობუსის საქარე მინა 2,5 კილოგრამის წონის ლითონის ნატეხმა ჩაამსხვრია და უ ბინს მუცელში მოხვდა.

მოულოდნელმა დარტყმამ შოკი გამოიწვია, კაცმა მარჯვენა ხელი მუცელზე მიიჭირა, მარცხენათი კი საჭეს მართავდა. რამდენიმე წამში მან მარჯვენა ხელით სიჩქარე გადართო, ავტობუსი გზის პირას მიაყენა, ავარიული შუქნიშანი ჩართო და კარი გააღო. საშინელი ტკივილის მიუხედავად, მან ხალხს გარეთ გასვლა სთხოვა, შემდეგ კი გონება დაკარგა.

სამწუხაროდ, ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს, მის დაკრძალვაზე მთელი ქალაქი მივიდა, ჩინურ ინტერნეტში კი მას „ჩვეულებრივი გმირი“ უწოდეს.

### „გონიერი“ ბრელოკი

**ხშირად ხდება ხოლმე, რომ ბევრი ძებნის შემდეგაც გასაღებების შეკვრის თუ მობილური ტელეფონის მიგნებას ვერ ვახერხებთ. ჩინელი ინჟინრების მიერ შექმნილი ბრელოკი ამ უსიამო პროცედურისგან თავის დაღწევაში დაგეხმარებათ.**



საამისოდ ტელეფონზე მხოლოდ სათანადო შესაბამისი ბრელოკი დაგჭირდებათ. ვთქვათ, მობილურ ტელეფონს ვერ პოულობთ, დააჭერთ პულტზე ღილაკს და აპარატი თავად „გამოგეხმაურებათ“. იგივე პრინციპი მოქმედებს გასაღებების აცმის დაკარგვის დროსაც — მის ადგილსამყოფელს ამ „გონიერი“ ბრელოკის მეშვეობით დაადგენთ.

### „სარბენი“ რეაქტიული ზურგჩანთა

**ამერიკელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს და გამოსცადეს რეაქტიული ზურგჩანთა ანუ ჯეტპაკი, რომელიც პერსონალურ სარბენ მოწყობილობას წარმოადგენს. მას ჯარისკაცის ზურგზე ამაგრებენ და რეაქტიული ძალის მეშვეობით იგი უსწრაფესად სირბილის შესაძლებლობას აძლევს.**

არიზონის შტატის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დოქტორ ჯეისონ კერესტესის ხელმძღვანელობით, ასევე შეძლეს ისეთი ჯეტპაკის შექმნა, რომელიც ჯარისკაცს სირბილისთვის საჭირო ენერგეტიკული ხარჯის შემცირებასა და გაცილებით სწრაფი სირბილის შესაძლებლობას აძლევს.

ამასთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე დოქტორმა კრესტესმა განაცხადა, რომ სარბენი ჯეტპაკი „შემთხვევით გამოუვიდათ“, რადგან თავდაპირველად მისი კოლეგები ისეთი მოწყობილობის შექმნას აპირებდნენ, რომელიც ფეხმოკვეთილ ადამიანებს გადაადგილებაში დაეხმარებოდა.

შემდეგ აღნიშნული პროექტით მოწინავე თავდაცვითი კვლევითი პროექტების სააგენტოს წარმომადგენლები დაინტერესდნენ და სთხოვეს მეც-



ნიერებს ისეთი რობოტიზებული ხელსაწყო შეექმნათ, რომელიც ჯარისკაცებს ან დიდ დატვირთვებს უკეთ გადაატანინებდა, ანდა ისეთი მძიმე სამუშაოების შესრულებაში დაეხმარებოდა, რომელსაც ფიზიკურად ჯანმრთელი კაცი ვერ მოერევა.

5 კილოგრამის წონის ზურგჩანთა, რომლის დახმარებით კაცს ერთი მილის (დაახლოებით 1,6 კილომეტრი) გარბენა 4 წუთში შეუძლია, მას 200 მეტრის ჩვეულებრივზე 3 წამით ნაკლებ დროში გარბენის საშუალებას აძლევს.

დოქტორი კრესტესი ახალი მოწყობილობის საბრძოლო მოქმედებებში გამოყენების შესაძლებლობას არ გამორიცხავს, რაც ჯარისკაცებს გარკვეულ ადგილზე გაცილებით სწრაფად მისვლის, ასევე უკან დაბრუნების შესაძლებლობას მისცემს.

## ცინცხალი ანეკდოტები

**მოსამართლე ეკითხება მოსარჩელეს:**

**— თქვენი ოჯახური მდგომარეობა?**

**— აუტანელი, თქვენო ღირსებავ!**

* * *

**— რატომაა, რომ ჩვენს საავადმყოფოებში ჭეშმარიტ მოწყალების დას ვერსად ნახავთ?**

**— იმიტომ, რომ ყველა ადამიანი ძმები ვართ!**

* * *

**სამუშაოს მაძიებელი კადრების მენეჯერს ეკითხება:**

**— თქვენი განცხადება წავიკითხე ინტერნეტში. ახალ ბუღალტერს ეძებთ?**

**— დიახ, ახალსაც ვეძებთ და ძველსაც.**

* * *

**— მიტო, ალბათ, ძალიან ჭკვიანი ქალია შენი ცოლი.**

**— რატომ გგონია ასე?**

**— ეგ ასე რომ არ იყოს, ნამდვილი სულელი იქნებოდა შენი ხელფასის მქონე კაცზე, თანაც ასეთ კრეტინზე გათხოვილიყო!**

* * *

**— რა არის ეკონომიკური რეფორმა?**

**— წარმოიდგინე, რომ პიჯაკი გაგხადეს, მის სანაცვლოდ ჟილეტი ჩაგაცვეს**



**და მერე, ახალი პალტო მშვიდობაშიო, გითხრეს.**

* * *

**— დაზარალებულო, თქვენ დაოჯახებული ხართ? — ეკითხება მოსამართლე.**

**— არა, თქვენო ღირსებავ, მე ყოველთვის ასე ცუდად გამოვიყურები.**

* * *

**ალბათობის თეორიის პრაქტიკუმი: თუ დილით კარზე მოგიკაკუნეს, ალბათობის თეორიის თანახმად, გამორიცხული არ არის, რომ ინგლისის დედოფალი გესტუმრათ, რადგან ასეთი ვიზიტი ბუნების არც ერთ ცნობილ კანონს არ ეწინააღმდეგება. თუმცა კი, იმის გაცილებით უფრო მეტი ალბათობაა, რომ პახმელიაზე გამოსასვლელად მეზობელი ლოთი მოვიდა.**

* * *

**— არ მჯერა მარჩიელობისა! ერთმა ბოშა ქალმა კარტი გამიშალა და ქორწილი მიწინასწარმეტყველა, ცოლი კი განქორწინებაზე თანახმა არ არის!**

* * *

**ახალგაზრდა ლამაზი მდივანი ქალი მუქარით ეუბნება უფროსს:**

**— იცოდეთ, ხელფასს თუ არ მომიმატებთ, მემუარების წერას დავიწყებ!**

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24